

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლანა ტერლეცკაია

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის ქართველი მკვლევრები
ზურაბ ავალივიშვილი და მიხეილ ხელთუფლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის მაგისტრის
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოთარ ჯანელიძე
პროფესორი

გორი

2019

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია ორი ქართველი მკვლევრის - ზურაბ ავალიშვილისა და მიხეილ ხელთუფლიშვილის ნაშრომები, რომლებშიც განხილულია 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების ისტორია, მისი გამომწვევი მიზეზები, პერიპეტიები და შედეგები.

გამოკვლევის პირველი თავი ეძღვნება ზურაბ ავალიშვილისა და მიხეილ ხელთუფლიშვილის ბიოგრაფიული ქრონიკის წარმოჩენას, რაც დღემდე სათანადო სისრულით არ არის შესწავლილი. ზურაბ ავალიშვილის ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მან ისტორიკოსობას იურისტობა და დიპლომატობა ამჯობინა და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ემიგრაციაში იძულებით ყოფნისას, ზ. ავალიშვილმა მაინც შეძლო და გამოაქვეყნა არაერთი საისტორიო ხასიათის პუბლიკაცია.

მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მიხეილ ხელთუფლიშვილი, სამწუხაროდ, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა და მას განსახილველი წიგნის გარდა სამეცნიერო ნაშრომი აღარ შეუქნია. მ. ხელთუფლიშვილის სახელი საქართველოს ახალ ისტორიაში იმითაც დარჩა, რომ სტუდენტობის წლებში იგი აქტიურად იყო ჩართული სამშობლოს ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში, როგორც „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წევრი.

მეორე თავში განხილულია ზურაბ ავალიშვილის ნაშრომი „საქართველოს შეერთება რუსეთთან“, წარმოჩენილია ის კომპლექსური მიზეზები, რომლებმაც, ქართველი მკვლევარი ისტორიკოსის აზრით, განაპირობა საქართველოს ინკორპორაცია რუსეთის იმპერიაში.

მესამე თავში შესწავლილია მიხეილ ხელთუფლიშვილის ნაშრომი „საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“. ხაზგასმულია, რომ ცარიზმის პოლიტიკური რეჟიმის პირობებშიც კი მ. ხელთუფლიშვილმა მოახერხა აღენიშნა: იმპერატორმა პავლე პირველმა ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის გუბერნიად ჯერ კიდევ გიორგი მეთორმეტის სიცოცხლეში გამოაცხადა.

ნაშრომის მეხუთე თავში შედარებულია მიხეილ ხელთუფლიშვილისა და ზურაბ ავალიშვილის ნაშრომები, რომლებიც დაიბეჭდა 1901 წელს, რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლის 100 წლისთავთან დაკავშირებით. გამოვლენილია ერთსა და იმავე საკითხზე ორი ავტორის შეხედულებათა მსგავსება და განსხვავება.

ნაშრომს ერთვის დასკვნა, ასევე, გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.

სამაგისტრო ნაშრომი ემყარება სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის, პერიოდული პრესისა და თვით განსახილველ ავტორთა ნაშრომების ანალიზს.

Annotation

The work deals with the works of two Georgian researchers - Zurab Avalishvili and Mikheil Kheltuplishvili, which discusses the history of Georgia's accession to Russia in 1801, its causes, peripeties and consequences. The first chapter of the study is dedicated to presenting the biographical chronicle of Zurab Avalishvili and Mikheil Kheltuplishvili, which is not still properly studied.

The life of Zurab Avalishvili was going on, that he preferred the diplomacy and the jurist instead of of the history and made a significant contribution to the history of the democratic republic of Georgia. At the same time it is worth that during forced stay emigration he could published historical character publication.

Mikheil Kheltuplishvili died a young. He was graduated University of Moscow, and unfortunately, he did not complete scientific work without a book. Mikheil Keltuplishvili's name is well know in a new history of Georgia in the years of student he was actively involved in the fight for national-political freedom as a member of the "Freedom League of Georgia".

The second chapter discusses Zurab Avalishvili's work "Joining Georgia with Russia", the reasons for which Georgian researcher historian thinks is the Georgian Incorporation in the Russian Empire.

The third chapter is studied by Mikheil Kheltuplishvili's work "Georgia's Entry into the Russian Empire". It is underlined that even under the political regime of Tsarism, Mikheil Kheltuplishvili managed to find Emperor Paul first declared the Kingdom of Kartl-Kakheti as the governor of the Russian Empire in the lives of Giorgi.

The fifth chapter of the work is compared to the works of Mikheil Kheltuplishvili and Zurab Avalishvili, which published in 1901, about the 100th anniversary of the entry into the Russian Empire. The similarity and difference between two author's views on the same issue are revealed. the work is accompanied the conclusion by a list of sources and used literature. Master's thesis is based on the analysis of special scientific literature, periodical press and authors' works.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1 შესავალი -----	6
თავი I. ზურაბ ავალიშვილის და მიხეილ ხელთუფლიშვილის ბიოგრაფიული პორტრეტებისათვის -----	8
თავი II. ზ. ავალიშვილის წიგნი „Присоединение Грузии к России“---	23
თავი III. მ. ხელთუფლიშვილის წიგნი „Вступление Грузии в состав Российской империи“ -----	34
თავი IV. ზურაბ ავალიშვილის და მიხეილ ხელთუფლიშვილის ნაშრომების შეპირისპირებითი ანალიზის ცდა -----	38
დასკვნა -----	43
გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია -----	45

შესავალი

საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიის კვლევა და შესწავლა ყოველთვის იყო ქართული საისტორიო მეცნიერების დაინტერესების საგანი. ამ მიმართებით სოლიდური წყაროთმცოდნეობითი და სპეციალური ლიტერატურა არსებობს. ბევრია დაწერილი სხვადასხვა საუკუნეში ქართულ-რუსული ურთიერთობის ისტორიის შესახებაც. ყოველ ასეთ პუბლიკაციას, როგორც იტყვიან, ეპოქის დადი აზის. დღეს, როდესაც მეცნიერული კვლევა თავისუფალია ყოველგვარი იდეოლოგიური ზემოქმედებისაგან და მის ხარისხს ძირითადად მკვლევრის პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება განსაზღვრავს, საჭირო ხდება თვალი გადაევლოს, ახლებურად შეფასდეს ბევრი ადრე გამოქვეყნებული, მათ შორის ცნობილი ავტორის არაერთი ნაშრომი. ეს მით უფრო ითქმის საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის თემაზე შექმნილი წიგნების შესახებ, რომლებშიც ჭარბობს ტენდენციური მიდგომები, იდეოლოგიური კლიშეები და სხვ. ამგვარ აუცილებლობას პირველ რიგში ჰუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე განვითარების მოთხოვნები წარმოშობს, მაგრამ, ამასთან ერთად, ხსენებული პრობლემატიკის მიუკერძოებელ გააზრებას რუსეთთან საქართველოს დღევანდელი რთული დამოკიდებულებაც განაპირობებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს მიწა-წყლის გარკვეული ნაწილი, ორ სახელმწიფოს შორის გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობა და სხვ. არ ნელდება მისწრაფება მეტი ვიცოდეთ ამ ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ადრეული მონაკვეთების ირგვლივ. განსაკუთრებულ ინტერეს იწვევდა და იწყვეს რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს მიერთების საკითი და მისი შეფასება.

თითქმის ასი წლის წინ, ამ პრობლემის შესწავლით დაინტერესდა ორი ქართველი ისტორიკოსი - ზურაბ ავალიშვილი და მიხეილ ხელთუფლიშვილი, რომლებმაც თითქმის ერთდროულად დაწერეს და 1901 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნეს ნაშრომები. ზ. ავალიშვილის წიგნის სათაურია „Присоединение Грузии к России“, ხოლო მ. ხელთუფლიშვილისა - „Вступление Грузии в состав Российской империи“.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, XXI საუკუნის გადასახედიდან წავიკითხოთ და შევაფასოთ ორივე ავტორის თვალსაზრისი შესაწავლი საკითხის

შესახებ, ვცადოთ მათი შეხედულებების შედარებითი ანალიზი და ვაჩვენოთ, როგორია დასახელებული წიგნებისადმი ქართული ისტორიოგრაფიის მიმართება.

თავი I.

ზურაბ ავალიშვილისა და მიხეილ ხელთუფლიშვილის ბიოგრაფიული პორტრეტებისათვის

ა) ზურაბ ავალიშვილი

ზურაბ ავალიშვილი ავალიშვილთა სახელოვანი გვარის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია. მისი წინაპრების შესახებ, რომელთაც საპატიო ადგილი ეკავათ ძირძველ ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა შორის, ჩვენს ისტორიაში ცოტა როდია ცნობილი.

ავალიშვილების გვარი სათავეს მესხეთიდან იღებს. XV საუკუნის ბოლოს - XVI საუკუნის დასაწყისში ბორჯომის ხეობაში (ისტორიულ თორის მხარეში) ჩამოყალიბდა ავალიშვილთა საფეოდალო - საავალიშვილო. საავალიშვილის ცენტრს წარმოადგენდა სოფელი სადგერი. ქიშვად ავალიშვილმა, რომელიც ფლობდა მამულს ჯავახეთში, ააგო კოთელიის წმინდა კვირიკეს საყდარი. 1535-1545 წლებში ავალიშვილების მიწები (მამულები) იმერეთის სამეფოს ეკუთვნოდა, შემდგომ, 1545 წლიდან - სამცხე-საათაბაგოს, ხოლო რაც ოსმალეთის იმპერიამ დაავლეთ დასაქართველო საკუთარი მფლობელობის ქვეშ მოაქცია, საავალიშვილოც მათ ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა.

ძალზე მძიმე არჩევნის წინაშე დადგენ ავალიშვილები, როგორც მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველი მოსახლეობა: ან ისლამი უნდა მიეღოთ, ანდა დაეტოვებინათ მშობლიური მხარე და გადასახლებულიყვნენ საქართველოს სხვა კუთხეებში, სადაც ქრისტიანობას შეინარჩუნებდნენ. ზემო ხსენებულმა ფაქტმა XVII-XVIII საუკუნეებში გამოიწვია ავალიშვილების გადასახლება შიდა ქართლში, კახეთსა და იმერეთში. შიდა ქართლში გადასახლებულნი დამკვიდრდნენ ტაშისკარში, სურამში, არადეთში, ბრეთსა და აბისში. კახეთში გადასულები - თელავში, კონდოლში, კალაურში, ჩუმლაყში, კაკაბეთსა და საგარეჯოში, ხოლო იმერეთში - ხიდარში, ვარძიასა და კიცხში.¹ ავალიშვილების გარკვეულმა ნაწილმა, რომლებიც დასახლდნენ იმერეთსა და გარეკახეთში (საგარეჯოს რაიონი), თავადობა დაკარგეს და გააზნაურდნენ, ხოლო ავალიშვილების ნაწილი, რომელიც დარჩა მშობლიურ მხარეში იძულებულები გახდნენ

¹ ნიკო ჯავახიშვილი. ზურაბ ავალიშვილი. ნაწილი I. მშობლები, წინაპრები და ნათესავები. ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014, №7, გვ. 25.

გამაჰმადიანებულიყვნენ და როგორც ოსმალეთის იმპერიის ქვეშევდომებს, მიეღოთ იქაური ფეოდალის - ბეგის წოდება.

ავალიშვილებს წარჩინებულთა შორის მოიხსენიებს მემატთანე ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756) და მიუთითებს: „ავალისშვილი, რა დაშთა ხეობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქ და მეორე სამცხეს.“² ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემითვე, გამაჰმადიანებული წარჩინებული ქართული გვარიშვილნი „არღარა იწოდებიან გუარითა ,არამედ ფაშად, ბეგად და სანჯებად.“³

ზურაბ ავალიშვილის ჩვენთვის ცნობილი ყველაზე დიდი წინაპარი, თავადი გივი ავალიშვილი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ძმასთან ერთად კახეთში გადასახლებულა და ბინა სოფელ ჩუმლაყში დაუდევს. პირდაპირი მამრობითი ხაზით ავალიშვილის 6 წინაპარია ცნობილი. ასე წარმოგვიდგება ზურაბ ავალიშვილის გენეალოგიური ხაზი, დაწყებული მისი უშუალო წინაპრის, გივი ავალიშვილისგან.

1 გივი ავალიშვილი

2 ასლანი ავალიშვილი (საისტორიო წყაროებში იხსენიება 1755-1765 წწ.)

3 გივი ავალიშვილი (საისტორიო წყაროებში იხსენიება 1755-1791 წწ.)

4 დიმიტრი ავალიშვილი (საისტორიო წყაროებში იხსენიება 1783 წ.)

5 იოანე ავალიშვილი (საისტორიო წყაროებში იხსენიება 1806-1850 წწ.)

6 დავით ავალიშვილი (საისტორიო წყაროებში იხსენიება 1845-18970 წწ.)

7 ზურაბ ავალიშვილი (საისტორიო წყაროებში იხსენიება 1875-1944 წწ.)⁴

ზურაბ ავალიშვილის წინაპრების ბიოგრაფიაც ძალზე საინტერესო და თვალსაჩინოა. აღსანიშნავია რომ მისი ოჯახის წევრები გამოირჩეოდნენ განათლებისადმი მიდრეკილებით და ეკავათ მნიშვნელოვანი თანამდებობები. ამასთან, რაც ძალზე საყურადღებოა, ისინი ძალზე თვალსაჩინო თანამდებობებს იკავებდნენ რუსეთის მეფის კარზე.

² ნიკო ჯავახიშვილი. ზურაბ ავალიშვილი. ნაწილი I. მშობლები, წინაპრები და ნათესავები. ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014, №7, გვ. 25.

³ ნიკო ჯავახიშვილი. ზურაბ ავალიშვილი. ნაწილი I. მშობლები, წინაპრები და ნათესავები. ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014, №7, გვ. 28.

⁴ ნიკო ჯავახიშვილი. ზურაბ ავალიშვილი. ნაწილი I. მშობლები, წინაპრები და ნათესავები. ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014, №7, გვ. 28.

ზურაბ ავალიშვილის დაბადების თარიღი უკანასკნელ დრომდე არ იყო სწორად დადგენილი, - მითითებული იყო 1874 ან 1876 წელი, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტიდან ნათელი ხდება რომ ზურაბ ავალიშვილი დაიბადა 1875 წლის 28 დეკემბერს ქალაქ თბილისში⁵. ყმაწვილობის ასაკიდანვე სწავლით გამორჩეულმა ზურაბ ავალიშვილმა, თბილისის გიმნაზია 1894 წელს წარჩინებით დაამთავრა. ზემოხსენებული საარქივო დოკუმენტის თანახმად, ზურაბმა თბილისის გიმნაზიაში სწავლისას დაიმსახურა მხოლოდ უმაღლესი შეფასებები (ფრიადი).

1894 წლის 5 აგვისტოს ზურაბ ავალიშვილს სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისთვის წერილობით მიუმართავს იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხვის თაობაზე. ეს თხოვნა ავალიშვილს დაუკმაყოფილეს. აღსანიშნავია, რომ ავალიშვილის უნივერსიტეტში ჩარიცხვის თარიღიც არ იყო სწორედ დადგენილი და მიჩნეული იყო 1895 წელი. ზუსტი ინფორმაცია მოპოვებულ იქნა ისევ პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. მაგრამ ზურაბ ავალიშვილი მოხსენიებულია როგორც ზურაბ ავალოვი. ქართული გვარების რუსული დაბოლოება მე-19 საუკუნის რეალობის დამახასიათებელი ნიშანი იყო.

ზურაბ ავალიშვილმა თავი მალევე გამოიჩინა. თავისი გამჭრიახი გონებითა და კეთილშობილობით პეტერბურგში დიდი პატივი დაიმსახურა. 1899 წლის 20 თებერვალს, პეტერბურგის საზოგადოებრივი და წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსმა წერილობით აცნობა უნივერსიტეტის რექტორს, რომ თავად ზურაბ დავითის ძე ავალიშვილზე გასცა „კეთილსაიმედოობის ცნობა,“ ვინაიდან თავის უწყებაში არანაირი მაკომპრომეტებული ინფორმაცია პოლიტიკური თვალსაზრისით მასზე არ გააჩნდა. ზურაბ ავალიშვილმა წარჩინებული სწავლისთვის პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო, ხოლო სადიპლომო ნაშრომისთვის „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ - ოქროს მედალი დაიმსახურა.

უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ ზურაბ ავალიშვილი ცოდნის გაღრმავების მიზნით მოემგზავრება პარიზში, სადაც მუშაობას იწყებს სამაგისტრო ნაშრომზე „დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანეთში ნაპოლეონის

⁵ ნიკო ჯავახიშვილი. ზურაბ ავალიშვილი. მოწაფეობის, პეტერბურგსა და ემიგრაციაში მოღვაწეობის ეპიზოდები. ნაწილი II, ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014. №9, გვ. 34.

დროიდან 1906 წლამდე.“ ზ. ავალიშვილი პარიზში სამეცნიერო მივლინებით 1902-1904 წლებში იმყოფებოდა.

გიორგი ლასხიშვილის ცნობით, პარიზში ყოფნისას ზ. ავალიშვილი ჩართული ყოფილა არჩილმ ჯორჯაძის მიერ დაარსებული სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულების გაზეთის „საქართველოს“ მუშაობაში.⁶

1904 წელს ზ. ავალიშვილმა წარმატებით დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი. სახელმწიფო სამართლის აღიარებულ სპეციალისტს მ. კოვალევსკის იმდენად მოსწონებია ქართველი ახალგაზრდის ნაშრომი, რომ ზ. ავალიშვილისათვის „სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ამომავალი ვარსკვლავი“ უწოდებია.⁷ 1906 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა მისი სადოქტორო დისერტაციის თეზისებიც სახელწოდებით: „Тезисы к диссертации З. Авалова „Децентрализация и самоуправление во Франции“. 1906 წელსვე პეტერბურგში მეორედ გამოიცა ზ. ავალიშვილის ნაშრომი „Присоединение Грузии к России“.

ზ. ავალიშვილი მიიწვიეს სანქტ-პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგედ. 1907-1908 და 1912-1913 წლებში სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა სახელმწიფო სამართლის კურსს. პარალელურად, იგი რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტროს იურისკონსულტის უფროსი თანამემწე, იურიდიული საზოგადოების წევრი და საზოგადოება „კახეთის რკინიგზის“ გამგეობის დირექტორიც იყო.

ზურაბ ავალიშვილი აქტიურად იყო ჩაბმული ასევე, პეტროგრადის პერიოდული პრესის მუშაობაში. 1917-1918 წლებში ის პეტროგრადის გამომცემლობა „ოგნი“-ში მუშაობდა, სადაც ხელმძღვანელობდა ჯგუფ „იზვესტიას“. ხსენებული ჯგუფის ძირითადი მიმართულება იყო მეცნიერული ნაშრომების გამოცემა. გარდა ამ გაზეთისა, ავალიშვილი თანამშრომლობდა სხვადასხვა იურიდიულ ჟურნალში: „Право“, „Журнал министерства юстиции“, ასევე, გაზეთში „Русская молва“, რომლებშიც გამოქვეყნდა მისი რამდენიმე სტატია.

1917 წელი ერთ ერთი მნიშვნელოვანი თარიღია რუსეთის ისტორიაში. მეფის ხელისუფლების დამხობამ შეცვალა რუსეთის სახელმწიფოს მმართველობის მთელი

⁶ გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 160.

⁷ გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წგნ. 1, თბ., 1991, გვ. 353.

სისტემა. ზურაბ ავალიშვილი რუსეთის ახალ ხელისუფლებას უფრო დასჭირდა თავის სამსახურში და იგი 1917 წელსვე პირველ სახელმწიფო დეპარტამენტში სენატორად დანიშნა.

პეტროგრადში მყოფმა ზურაბ ავალიშვილმა, ივანე ჯავახიშვილთან ერთად გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში.⁸ მიუხედავად მაღალი თანამდებობისა, რომელიც ზ. ავალიშვილს რუსეთის დროებითმა ხელისუფლებამ უბოძა, 1918 წელს იგი იღებს გადაწყვეტილებას, რომ დაბრუნდეს სამშობლოში და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სამსახურში ჩადგეს. ავალიშვილი ამ მიზანს განახორციელებს კიდევ.

სამშობლოში დაბრუნებული ზურაბ ავალიშვილი 1918 წლის მაისში მონაწილეობდა ბათუმის მოლაპარაკებებში, ხოლო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. როგორც გონიერ დიპლომატსა და ევროპული ენების შესანიშნავ მცოდნე ზურაბ ავალიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესის დაჩქარებაში. იგი მონაწილეობდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაციის წევრი.

მიუხედავად ხსენებული ღვაწლისა, საქართველოს იმ დროინდელმა მთავრობამ სათანადოდ მაინც ვერ დააფასა და გამოიყენა ზურაბ ავალიშვილის გამორჩეული ნიჭი, უნარი, გამოცდილება და საერთაშორისო ავტორიტეტი. ამ მოსაზრების დამადასტურებელად დავიმოწმებ ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის ერთ-ერთი წევრის, შემდგომში ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლის, ალექსანდრე სულხანიშვილის მოსაზრებას: მისი სიტყვით, „საქართველოს მთავრობა უნდა შედგებოდეს უნარიანი, საქმის მცოდნე, წარჩინებული პირებისგან, მიუხედავად მათი პარტიული მიკერძოებისა და არა ისე, როგორც ჩვენი მთავრობა მოიქცა: მათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების გარდა, ახლო არავინ გააკარეს მთავრობას და საერთოდ ადმინისტრაციას. მიუხედავად იმისა, რომ მრავლად გვყავდა მომზადებული და შესაფერისი კადრი, ისინი სრულიად შეუფერებელ პირებს

⁸ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018, გვ. 14.

ნიშნავდნენ მთელ რიგ პასუხსაგებ თანამდებობაზე. სხვა რაღაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ყოფილი ექიმი გახდა სამხედრო მინისტრი, ხოლო რუსებთან ხელშეკრულების დასადებად გაგზავნილი იქნა სოფლის მასწავლებელი და ამასობაში თარჯიმნად ჰყავდათ ისიც მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო კანონების მცოდნე, თითქმის ყველა საერთაშორისო ენაზე მოლაპარაკე დიდი ქართველი პატრიოტი ზურაბ ავალიშვილი! ჩემი თვალსაზრისით, ასეთი საქციელი ნამდვილ ღლატს წარმოადგენდა სამშობლოს წინაშე ნებით თუ უნებლიეთ!⁹ ამ სიტყვებში გარკვეული გადაჭარბება იგრძნობა, თუმცა არ იქნებოდა ურიგო, ზურაბ ავალიშვილს ჰქონოდა არა მხოლოდ რჩევებისა და რეკომენდაციების კომპეტენცია, არამედ გადწყვეტილების მიღების უფლებაც.

1921 წლის მომხდარი მოვლენების შემდეგ, რაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში წითელი არმია შემოიჭრა და იძულებით გაასაბჭოა ქვეყანა, ზურაბ ავალიშვილი მიემგზავრება ემიგრაციაში და მოღვაწეობას აგრძელებს საფრანგეთში. იგი მეცნიერულ მუშაობას ეწევა საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ამერიკის არქივებსა და სიძველეთსაცავებში საქართველოს ისტორიის ახალი წყაროების, უცხოეთში მოხვედრილი ქართული კულტურის ნაშთების გამოსავლენად. კვლევის შედეგებს – სტატიებს პოლიტიკის, ისტორიის, ქართული ლიტერატურის, რუსთველოლოგიის საკითხებზე – ზ. ავალიშვილი სისტემატიურად აქვეყნებდა უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებსა თუ გაზეთებში.¹⁰

1940 წელს ზურაბ ავალიშვილი გერმანიაში გადადის საცხოვრებლად და მკვიდრდება ქალაქ მიუნხენში. იძულებითი ემიგრაციის პერიოდშიც მან საკმაოდ დიდი სამსახური გაუწია სამშობლოს. სწორედაც რომ ზურაბ ავალიშვილის დახმარებით შემლო ექვთიმე თაყაიშვილმა, ეხსნა საქართველოს ისტორიული საგანძური საფრანგეთში შეჭრილი გერმანელი ოკუპანტებისგან.

ავალიშვილმა ისარგებლა საკუთარი სტატუსით, რათა გადაერჩინა სამშობლოს საგანძური, არ შეუშინდა არანაირ საფრთხეს, რომელიც შეიძლებოდა დამუქრებოდა. მან განუმარტა გერმანელებს, რომ ამ საგანძურში დაცულ სიძველეებს მხოლოდ

⁹ ნიკო ჯავახიშვილი. ზურაბ ავალიშვილი. მოწაფეობის, პეტერბურგსა და ემიგრაციაში მოღვაწეობის ეპიზოდები. ნაწილი II, ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014. №9, გვ. 37.

¹⁰ <https://www.litinstitut.ge/emigrant/avalishvili.html>

ქართველებისათვის ჰქონდათ ეროვნული მნიშვნელობა და ისინი არ წარმოადგენდნენ საკაცობრიო ისტორიულ-კულტურულ ფასეულობას. ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებიდან: „ზურაბი არწმუნებდა გერმანლებს, რომ ეს განძეული მარტო საქართველოსთვის არის ღირებული, როგორც ისტორიული საბუთები, თორემ სხვებისთვის არაფერია სახარბიელიო.“¹¹

ზურაბ ავალიშვილის ემიგრანტული პერიოდის ცხოვრება-მოღვაწეობის გასააზრებლად ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გავწვდის ექვთიმე თაყაიშვილი: მისი სიტყვით: „ნაცისტებს ბერლინში ზოგიერთი ქართველი მიმხრობოდა და ჰიტლერის თაყვანისმცემელი გამხდარიყო. ისინი დაუფიქრებლად დარწმუნებულნი იყვნენ, ჰიტლერი საქართველოს თავისუფლებას მიანიჭებსო. ...მათ დააჯერეს და გერმანიაში წაიყვანეს პროფესორი ზურაბ ავალიშვილი, რომელიც იქ უდროვოდ დაიღუპა, და მის სიკვდილთან ერთად დაგვეკარგა აუარებელი ისტორიული მასალა საქართველოს შესახებ, რომელიც ავალიშვილს ჰქონდა შეგროვილი. ჰიტლერისადმი ბრმად მიმხობილი ქართველი ემიგრანტები აღარ ითვალისწინებდნენ, რომ ის კაციჭამია რუსეთის დამარცხების შემთხვევაში არც საქართველოს დააყრიდა კარგ დღეს. რატომღაც ეგონათ, მცირე ავტონომიას მოგვცემსო.“¹²

ეს საკითი ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე შესწავლილია და ასეთი რეალობა იკვეთება:

როდესაც გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი დაიწყო, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ ნაწილში გაჩნდა აზრი, რომ ემოქმედათ პრინციპით: „ჩვენი მტრის მტერი ჩვენი მეგობარია“ და გერმანია გამოეყენებინათ საბჭოთა იმპერიიდან საქართველოს განთავისუფლების საქმეში. ამის ერთგვარი პრეცედენტი არსებობდა პირველი მსოფლიო ომის წლებში, როდესაც გერმანიის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი (პ. სურგულაძე, გ. მაჩაბელი, მ. წერეთელი, ლ. კერესელიძე და სხვ.). კომიტეტმა თავისი მრავალმხრივი მუშაობით შეამზადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ნიადაგი.

¹¹ ნიკო ჯავახიშვილი. ზურაბ ავალიშვილი. მოწაფეობის, პეტერბურგსა და ემიგრაციაში მოღვაწეობის ეპიზოდები. ნაწილი II, ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014. №9, გვ. 41.

¹² ნიკო ჯავახიშვილი. ზურაბ ავალიშვილი. მოწაფეობის, პეტერბურგსა და ემიგრაციაში მოღვაწეობის ეპიზოდები. ნაწილი II, ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014. №9, გვ. 41.

1942 წელსაც გაჩნდა გერმანულ-ქართული ურთიერთობის განმეორების შესაძლებლობა. ბერლინში, აღმოსავლეთის სამინისტროს ეგიდით, დაფუძნდა ქართული ეროვნული კომიტეტი მიხაკო წერეთლის თავმჯდომარეობით. წევრებად ზურაბ ავალიშვილი, გიორგი მაღალაშვილი და სპირიდონ კედია მიიწვიეს.¹³

სპირიდონ კედიას სიტყვით: „თავის მოწოდებით და დანიშნულებით, ქართული ეროვნული კომიტეტი უნდა ყოფილიყო გამომსახველი საერთო ქართული ხელისუფლებისა და დამცველი საერთო ქართული ეროვნული მიზნებისა; შემომკრები და თავმომყრელი ყველა ქართული ძალებისა, რაც შეიძლება ღირსეული მონაწილეობის მისაღებად იმ საერთო ბრძოლაში, რომელიც დღეს ბოლშევიზმის წინააღმდეგ სწარმოებს.“¹⁴

თუ ქართველების თანამშრომლობა გერმანიის სახელისუფლებო წრეებთან 1914-1918 წლებში საქართველოსათვის სასარგებლო გამოდგა, - გერმანიამ საქართველოს სუვერენიტეტის გარანტობა იკისრა, იმპერატორ ვილჰელმ II-ისაგან განსხვავებით, ჰიტლერმა არ გაიზიარა ქართული ეროვნული კომიტეტის მიერ შეთავაზებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გეგმა, რასაც კომიტეტის დაშლა მოჰყვა.

ზურაბ ავალიშვილს ჰყავდა მეუღლე გერმანელ ქალბატონი მაია ფოგტი, თუმცა, სამწუხაროდ, შვილები არ შეძენია. გრიგოლ რობაქიძე, რევაზ გაბაშვილი, შალვა მაღლაკელიძე და ქართული ემიგრაციის სხვა ცნობილი მოღვაწეები გვაწვდიან ცნობებს ზურაბ ავალიშვილის პიროვნების შესახებ.

გრიგოლ რობაქიძე ჯერ კიდევ 1918 წელს ლაკონურად ახასიათებდა ზურაბ ავალიშვილს: - „ეს ცივი ინტელექტი მძაფრი ირონიით ამახვილებული.“¹⁵ მოგვიანებით, ემიგრაციაში კი წერდა: ზურაბ ავალიშვილი „დიდი მცოდნე იყო ლიტერატურისა და თანაც ღრმად გამგები.“¹⁶ მწერალი ზურაბ ავალიშვილს ადარებდა ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, თბილისის უნივერსიტეტის მესამირკვლე ივანე ჯავახიშვილს და შენიშნავდა: „ქართველ ისტორიკოსებში ყველაზე დიდი პატივისმცემელი ვარ ივანე ჯავახიშვილისა, მისი შრომისა და უფრო მეტად პატიოსან მძებნელისა სიმართლისა

¹³ ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 351.

¹⁴ მასალები სპირიდონ კედიას პირადი არქივიდან. შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007, გვ. 179.

¹⁵ გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 21 მარტი.

¹⁶ ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1948, 23 დეკემბერი.

(„არც თვითონ შესცდეს და არც სხვა შეაცდინოს“) მაგრამ...ივანე ჯავახვილი თუ ქრისტეს შეედრება თავისი გარეგნობით, ზნეობით, ხასიათით, სწავლებითაც - ზურაბ ავალიშვილი, ბევრად მასზე ნიჭიერ, ფართო შეხედულებათა და სინტეზის მომცემად მიმაჩნია, როგორც მეცნიერი.“¹⁷

თუ გრიგოლ რობაქიძე ზურაბ ავალიშვილს გამოჰყოფდა მხოლოდ ცოდნითა და გაგებით, რევაზ გაბაშვილი ავალიშვილს ახასიათებდა, როგორც პიროვნებას, ასევე მეცნიერს. მიუთითებდა: „ზურაბ ავალიშვილი ბევრსა სვამდა, ცოტა ზარმაციც იყო და დამცინავი კილო ჰქონდა ყველასადმი. მაგრამ რაც შეეხება ცოდნას, ნიჭს, წერის უნარს პოლიტიკურ-დიპლომატიურ მსჯელობა-გათვალისწინებას, ბადალი არ ჰყავდა. ნამდვილი მეცნიერი - ენციკლოპედისტი იყო. არა მარტო ყოველმხრივ განსწავლულ-განვითარებული, არამედ ზედმიწევნითაც, დეტალებით გასაოცარი მეხსიერებისა, ნამდვილი მკვლევარი, ანალიტიკოსი-სინტეზისტი...“¹⁸ მსგავსი დახასიათების შემდეგ, ნამდვილად არაა გასაკვირი, რატომ პოულობდა ზურაბ ავალიშვილი დაფასებას ყველა ქვეყანაში, სადაც კი ცხოვრება მოუწია.

შალვა მალაქელიძის მოგონების თანახმად, „ზურაბ ავალიშვილს ...არ სწამდა არც ერთი პარტია. ...დიდად განათლებული კაცი იყო. ...დიდი, მძიმე კახელი კაცი, თავადიშვილი, დედა ჰყავდა ბარონესა.“¹⁹

1944 წლის 21 მაისს ზურაბ ავალიშვილი გარდაიცვალა ქალაქ შვარცენფელდში (გერმანია), დაკრძალეს ბავარიის ქალაქ შვარდოფში. ავალიშვილის სიკვდილის მიზეზი გახდა სამხედრო ავიაციის მიერ განხორციელებული ქალაქ შვარცენფელდის დაბომბვის ოპერაცია.

ზურაბ ავალიშვილს უმძიმდა ემიგრაციაში ცხოვრება, სურდა სამშობლოში დაბრუნება და საბჭოთა ეპოქის დასაწყისშიც კი ეძებდა საამისო გზებს. ერთ-ერთ ასეთ გზად, - როგორც იგი ივანე ჯავახიშვილს აცნობდა, - ზ. ავალიშვილს ქართული სიძველეების შესწავლით ამერიკელი მეცნიერების დაინტერესება და მათან ერთად

¹⁷ ნიკო ჯავახიშვილი. ზურაბ ავალიშვილი. მოწაფეობის, პეტერბურგსა და ემიგრაციაში მოღვაწეობის ეპიზოდები. ნაწილი II, ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014. №9, გვ. 40.

¹⁸ ნიკო ჯავახიშვილი. ზურაბ ავალიშვილი. მოწაფეობის, პეტერბურგსა და ემიგრაციაში მოღვაწეობის ეპიზოდები. ნაწილი II, ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014. №9, გვ. 40.

¹⁹ ნიკო ჯავახიშვილი. ზურაბ ავალიშვილი. მოწაფეობის, პეტერბურგსა და ემიგრაციაში მოღვაწეობის ეპიზოდები. ნაწილი II, ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014. №9, გვ. 41.

საქართველოში ჩასვლა ესახებოდა. თავის მხრივ, ივანე ჯავახვილიც ცდილობდა, რომ ზურაბ ავალიშვილი მოეწვიათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეში, როგორც დიდი მკვლევარი და მეცნიერი,²⁰ მაგრამ ამ ძალისხმევიდან, გასაგები მიზეზების გამო, არაფერი გამოვიდა.

1993 წლამდე ზურაბ ავალიშვილი განისვენებდა უცხო მიწაზე გერმანიაში. 1993 წლის მაისში იგი გადმოსვენეს სამშობლოში და დაკრძალეს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ბ) მიხეილ ხელთუფლიშვილი

მიხეილ ხელთუფლიშვილი მიეკუთვნება XX საუკუნის ქართველ მამულიშვილთა რიცხვს. მიუხედავად ამისა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი.

ხელთუფლიშვილები თავადები იყვნენ. მათი გვარი ფიგურირებდა დასავლეთ საქართველოში. მსახურობდნენ იმერეთის მეფის კარზე, მათი საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა ქალაქი ქუთაისი.

მიხეილ ხელთუფლიშვილის დაბადების თარიღი ზუსტად არაა ცნობილი სავარაუდოდ, ის დაიბადა ქალაქ ქუთაისში. როგორ და რა პირობებში გაიარა მისმა ბავშობამ, ჩვენთვის, სამწუხაროდ, უცნობია, მაგრამ მოგვეპოვება დოკუმენტური მასალა სტუდენტობის პერიოდის შესახებ. განათლების მისაღებად მიხეილ ხელთუფლიშვილი რუსეთში, კერძოდ კი მოსკოვში გაემგზავრა და ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე.

უნივერსიტეტში სწავლისას გამორჩეული სტუდენტი ყოფილა, სწორედ იქ დაიწყო გამოკვლევა თემაზე „Вступление Грузии в состав Российской империи“.

მ. ხელთუფლიშვილის გამოკვლევას მაშინვე მოჰყოლია რეაგირება. მის ლექტორს, პროფესორს, მისთვის უთქვამს, რომ სასწავლო წლის ჩასათვლელად სხვა გამოკვლევა დაეწერა. ხოლო რაც შეეხებოდა მის მიერ უკვე დაწერილ ნაშრომს: მე ცოდვად მიმაჩნია მისი ფორმალური დანიშნულებისათვის გამოყენება, სავალდებულო გამოკვლევად რომ მივიღო ის ფაკულტეტის არქივში დარჩება და ვერავინ წაიკითხავს.²¹ ლექტორს მაღალი

²⁰ სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1981, გვ. 325; ასევე, გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წგნ. 1, თბ., 1991, გვ. 360-363.

²¹ ივანე ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნას, ჟურნ. განთიადი, ქუთაისი, 1988, № 3, გვ. 253.

შეფასება მიუცია მიხეილ ხელთუფლიშვილს ნაშრომისთვის. აღუნიშნავს: „გამოკვლევა ისე კარგად არის დაწერილი, საგანი ისეთი ცოდნით დამუშავებული და დასაბუთებული და იმავ დროს იმდენად საინტერესო, რომ ცოდვას არ გამოქვეყნდეს.“²²

ივანე ზურაბიშვილი მიხეილ ხელთუფლიშვილს იხსენებს და აღწერს: „შუა ტანის, სახე გამხდარი, ცოცხალ თვალებიანი მიშა სიცოცხლის გამოხატულებად იქცეოდა. მხიარული, მომღიმარი, ენაწყლიანი და ოხუნჯი. ლამაზი და მეტყველი ცისფერი თვალები კი უფრო და უფრო უბრწყინავს და მომხიბლავი ღიმილი უფრო ფართოდ უპობს წვლილს კოხტა უღვაშით შემოსილ ტუჩებს, ვიდრე სადმე ამბის რომელსამე ადგილს მხიარულ, გულიან და წარმტაც სიცილად არ წამოსკდება.“¹⁷ გარდა ფიზიკური მონაცემებისა, ი. ზურაბიშვილი ხელთუფლიშვილზე ამბობს რომ ის იყო: „საუცხოვო მოსაუბრე და მოლაპარაკე. ცოცხალი და მხატვრული სიტყვის პატრონი, განათლებული და დიდად განვითარებული ყმაწვილი, მიხეილი იშვიათი მომსმენი იყო იმავე დროს.

ზოგჯერ უყვარდა, მართალია, ისეთ ირონიულ რეპლიკის მოცემა, რომელიც როგორც იტყვიან, მოსპობს კაცს. მაგრამ არ ყოფილა არც ყმაწვილი და არც ხნიერი, ასეთი ირონია სწყენოდეს, რადგან ყველა გრძნობდა რომ ამის მიზეზი გონების და ენის სიმახვილე იყო და რომ წყენის, ან მით უმეტეს შეურაცხყოფის მიყენების სურვილს მის გულში ადგილი არა ჰქონია.“²³

მ. ხელთუფლიშვილი სტუდენტობის დროიდან აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს რამდენიმე გამოკვლევა, რომლებშიც გაშუქებულია რუსეთის იმპერიის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველი სტუდენტების მიერ 1892-1893 წლებში პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ შექმნის საკითხი.²⁴

²² ივანე ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნას, ჟურნ. განთიადი, ქუთაისი, 1988, № 3, გვ. 254.

²³ ივანე ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნას, ჟურნ. განთიადი, ქუთაისი, 1988, № 3, გვ. 255.

²⁴ ზაქარია შველიძე, რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“, თბილისი, 1969; ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში. 1801-1921, თბ., 1980; ვახტანგ გურული, პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან (მეცხრამეტე საუკუნის დასასრული და მეოცე საუკუნის დამდეგი), ჟურნ. „განთიადი“, 1993, N 9-10; დიმიტრი შველიძე, გიორგი გაფრინდაშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი. მამულიშვილის დაბრუნება, თბ., 2010; ლევან ურუშაძე, გიორგი დეკანოზიშვილის

მოსკოვის, პეტერბურგის, კიევის, ხარკოვის, ოდესის, ვარშავის უნივერსიტეტების ქართველმა სტუდენტებმა დააარსეს საიდუმლო წრეები. სტუდენტთა წარმომადგენლების ურთერთმოლაპარაკებებისა და შეთანხმების შემდეგ, ხსენებული წრეების გაერთიანების მიზნით, 1892 წელს ქუთაისში, ხოლო 1893 წელს თბილისში არალეგალური ყრილობები მოიწვიეს.

„ლიგის“ წევრთა შორის იხსენიება მიხეილ ხელთუფლიშვილიც. მეტიც, ერთი თანამედროვის ცნობით, სტუდენტთა პირველი ყრილობა ქუთაისში სწორედ მ. ხელთუფლიშვილის სახლში გამართულა.

ამ ფაქტის საილუსტრაციოდ გამოვიყენებ ივანე ზურაბიშვილის მოგონებებს მიხეილ ხელთუფლიშვილის შესახებ. მემუარისტი წერს: „სხდომის ბოლოს ვიღაცამ სთქვა, მიხეილ ხელთუფლიშვილს ძლიერ უნდა ჩვენ სხდომების დასწრება, თუნდ უბრალო მაყურებლის სახითაც, ამასთან საკონგრესო ბინის შოვნა თუ გაგიჭირდეთ, ჩემს ბინაზე შეიკრიბებით და გამართეთ სხდომებიო, გნებავთ სახლში გნებავთ ბაღში, რადგან ბაღი დიდია და მეტის ცნობისმოყვარეობის თვალისა და ყურისგან კარგად არის დაცული.“²⁵ ეს აზრი მიხეილ ხელთუფლიშვილს კონგრესის წევრებმა ძლიერ მოუწონეს, პირველივე სხდომაზე, რომელიც გამართულა ხელთუფლიშვილის სახლში, კონგრესის თავმჯდომარედ მიხეილ ხელთუფლიშვილი აურჩევიათ. ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმიტომ, რომ მიხეილ ხელთუფლიშვილი ძალზე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თითოეული კონგრესის წევრი აზრს, ითვალისწინებდა მათ მოსაზრებებს, ის პრობლემები და საკითხები, რომლებიც მომავალში უნდა გადაეჭრათ, გულთან ახლოს მიქონდა და ამ ყველაფერთან ერთად მისი განათლებული გონება პოულობდა შესაძლო გზებს თუ როგორ უნდა განეხორციელებინათ სამომავლო გეგმები. „რა მორიდებით ეკიდებოდა ზოგჯერ მეტად გულუბრყვილოდ და მეტად სადიდ გამოთქმულ აზრს, როგორის პატივისცემით ეპყრობოდა, საზოგადოდ, ხვის აზრს და რა სიამოვნება ეხატებოდა სახეზე, როდესაც რამე თავისებური ორიგინალური აზრი გამოითქმოდა, მიუხედავად იმისა, იზიარებდა მას თვითონ თუ არა.“²⁶

პოლიტიკური ბიოგრაფიისათვის („საქართველოს თავისუფლების ლიგა“ და „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.“ 1890-1906 წწ.), ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2007, N 13.

²⁵ ივანე ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნას, ჟურნ. განთიადი, ქუთაისი, 1988, № 3, გვ. 255.

²⁶ ივანე ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნას, ჟურნ. განთიადი, ქუთაისი, 1988, № 3, გვ. 255.

საისტორიო გამოკვლევების თანახმად, 1892 წელს 26-29 აგვისტოს ქუთაისში შედგა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოების წარმომადგენელთა პირველი ყრილობა. ამ ყრილობის თავმჯდომარე მიხეილ ხელთუფლიშვილი იყო. ყრილობაზე განხილული იქნა რვა საკითხი, მიიღეს სათანადო გადაწყვეტილებები, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედო ქართველ სტუდენტთა ფარული პოლიტიკური ორგანიზაციის პროგრამასა და წესდებას. ამ ორგანიზაციას ეწოდა „საქართველოს თავისუფლების ლიგა.“²⁷

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, „თავისუფლების ლიგა“ იყო ეროვნული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც თავის უპირველეს მიზნად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა.²⁸

მიუხედავად რუსეთის მეფის მთავრობის მკაცრი პოლიტიკისა, მიხეილ ხელთუფლიშვილი და მისი მეგობრები - ლიგის წევრები, თამამ ნაბიჯებს დგამდნენ საკუთარი მიზნების და გეგმების განსახორხიელებლად. „საქართველოს თავისუფლების ლიგამ“, რომლის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა მიხეილ ხელთუფლიშვილი იყო, დასვა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და მისი განხორციელებისთვის ბრძოლა უმთავრეს მიზნად გამოაცხადა.

ქუთაისში გამართული ყრილობის გამო რუსეთის პოლიციამ და ჟანდარმერიამ ამხილეს ქართველი სტუდენტები და მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა თავისუფლების ლიგასთან დაკავშირებით. ივანე ზურაბიშვილი გადმოგვცემს: „მოსკოვიდან ვარშავაში გადაგზავნისას ოქმები ჟანდარმებს ჩაუვარდათ ხელში და დაიწყო გამოძიება.“²⁹

„მოსკოვში სასწავლებლად მყოფმა ხელთუფლიშვილმა ვერ გაუძლო რუსეთის ცივ ჰავას, და სანამ საბოლოო სახელმწიფო გამოცდას ჩააბარებდა, გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება, იმ მიზნით რომ მიჩვეული თბილი დასავლეთის ჰავა მას გამოაკეთებდა და შემდგომ დაბრუნდებოდა ისევ მოსკოვში და სწავლას დაასრულებდა, მაგრამ ამაოდ. გიორგი წერეთლის სიტყვებს დავიმოწმებ: მიხეილ ხელთუფლიშვილი გაემგზავრა თავის სამსობლოდან ტანთელი, ცხოვრებით სავსე ჭაბუკი, მაღალი

²⁷ ზაქარია შველიძე, რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“, თბილისი, 1969, გვ.212

²⁸ დიმიტრი შველიძე, გიორგი გაფრინდაშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი. მამულიშვილის დაბრუნება, თბ., 2010, გვ. 8.

²⁹ ივანე ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნას, ჟურნ. განთიადი, ქუთაისი, 1988, № 3, გვ. 255.

ნიჭიერებით შემკული, იმედი თავის ქვეყნისა მოსკოვს უმაღლეს სწავლის მისაღებად; მაგრამ სამხრეთის თბილ ჰავაში აღზრდილმა მისმა ბუნებამ ვერ აიტანა სიმკაცრე რუსეთის ბუნებისა. საკმაო იყო მისი ერთი გაცემა, რომ სიმთელე მისი დარღვეულიყო და ტანში გაჩენოდა საოცარი სენი სიჭლექისა“.³⁰

მართლაც, ამ დამღუპელმა სენმა წაართვა საქართველოს ნიჭიერი ახალგაზრდა მამულიშვილი, რომელსაც შეეძლო საფუძვლიანი სამსახური გაეწია სამშობლოსათვის. მიხეილ ხელთუფლიშვილი გარდაიცვალა 1895 წლის 23 აპრილს, 26 წლის ასაკში. ძალზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა თუ რა ვითარებაში გარდაიცვალა იგი. გიორგი ლასხიშვილი მიხეილ ხელთუფლიშვილის შესახებ წერდა: „ჩემი დაუფუწყარი ამხანაგი, ფრიად ნიჭიერი მიშა ხელთუფლიშვილი საკანში გარდაიცვალაო.“³¹ ამ აზრს იზიარებს პროფესორი ოთარ ჯანელიძე, რომელიც წერს: „მ. ხელთუფლიშვილი „ლიგის“ საქმის გამოძიების დამთავრებამდე, სრულიად ახალგაზრდა, 26 წლისა, პატიმრობაში გარდაიცვალა.“³²

ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მიხეილ ხელთუფლიშვილის სახელი იმ დროინდელ საქართველოში უკვე იყო ცნობილი. ამის დასტურად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ ილია ჭავჭავაძის გაზეთმა „ივერიამ“ მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ნეკროლოგი პირველ გვერდზე გამოაქვეყნა. ნეკროლოგში ვკითხულობთ: მიხეილ ხელთუფლიშვილი „უნივერსიტეტში სწავლის დროსვე შეუდგა წყაროების შესწავლას და გამოკვლევის შემდეგ დასტამბა საყურადღებო შრომა „О вступлении Грузии в состав Российской империи.“ თამამად შეიძლება ითქვას, ამ საგნის შესახებ ამ თხზულებაზედ უფრო სერიოზული გამოკვლევა ჯერ არ დაბეჭდილა. სტუდენტობის დროსვე მან გაარჩია „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“; ამ საფუძვლიანმა და ნიჭიერმა გარჩევამაც მიიქცია თავის დროზედ საზოგადოების ყურადღება.“

³⁰ გაზ. „კვალი“, 1895 წ., №20, 7 მაისი, გვ 1.

³¹ დიმიტრი შველიძე, გიორგი გაფრინდაშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი-მამულიშვილის დაბრუნება, თბილისი, 2010.

³² http://liberalizmisepoqa.blogspot.com/2014/10/blog-post_56.html

ნეკროლოგში ასევე აღნიშნულია: „დღეს მისი მრავალი მეგობარი და პატივისმცემელი მის ოჯახთან ერთად ჰგლოვობს უდროოდ დაკარგულს მიხეილს და სახსენებელი ძვირფასის ახალგაზრდისა საუკუნოდ იქნება მათთვის.“³³

მ. ხელთუფლიშვილის დაკრძალვაზე ქუთაისის წიგნების გამომცემელი ამხანაგობის მიერ მიტანილ გვირგვინებს შესაფერი წარწერა ჰქონია: „ვინ უწყის, რამდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა, ვინ იცის თანა რაოდენი წარიღე ფიქრნი, რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრათ ყვავილნი ჩაჰკნენ შენს გულში განუშლელათ, ეგრე უდროთ.“³⁴

მიხეილ ხელთუფლიშვილი განისვენებს ქალაქ ქუთაისში.

³³ გაზ. „ივერია“, 1895 წ., 25 აპრილი.

³⁴ გაზ. „კვალი“, 1895 წ., №27, 7 მაისი, გვ. 1.

თავი II

ზურაბ ავალიშვილის ნაშრომი „Присоединение Грузии к России“

ზურაბ ავალიშვილი თემაზე „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდიდანვე მუშაობდა. ეს იყო მისი სადიპლომო ნაშრომი, რომელიც წარმატებით დაიცვა და ოქროს მედალიც დაიმსახურა.³⁵

ზ. ავალიშვილმა უნივერსიტეტი 1898 წელს დაასრულა, განსახილველი წიგნი კი მხოლოდ 1901 წელს გამოიცა.³⁶ ამ წელს კავკასიის რუსული ადმინისტრაცია საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავს აღნიშნავდა და ქართველი ავტორის გამოკვლევა ბუნებრივად მოექცა მრავალფეროვან საიუბილეო აქტივობათა ნუსხაში.

ხსენებული წიგნი მეფისდროინდელ რუსეთში ხელმეორედ 1906 წელს დაიბეჭდა.³⁷ თანამედროვე პერიოდში მისი კიდევ სამი გამოცემა განხორციელდა.³⁸ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში წიგნის მხოლოდ პირველი გამოცემით ვსარგებლობ.

ზ. ავალიშვილის განსახილველ ნაშრომს არა ჰყავს ჰყავს რედაქტორი, ამდენად, წიგნის ავ-კარგზე სრული პასუხისმგებელი ავტორია. არ ვიცით, დაუმატა მან თავის სტუდენტობისდროინდელ გამოკვლევას რამე, თუ ზუსტად ამ მოცულობისა და შინაარსის იყო პრემირებული სადიპლომო ნაშრომი.

განსახილველი წიგნის ყდაზე ავტორის გვარი მითითებულია როგორც ავალოვი და არა ავალიშვილი. საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ, როგორც რუსიფიკაციის გამოვლენა, შემოდებულ იქნა ქართული გვარების რუსულად გადაკეთების ტენდენცია. უპირველესად ეს ქართული არისტოკრატის

³⁵ ნიკო ჯავახიშვილი. ზურაბ ავალიშვილი. მოწაფეობის, პეტერბურგსა და ემიგრაციაში მოღვაწეობის ეპიზოდები. ნაწილი II, ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014. №9, გვ. 45.

³⁶ საგულისხმოა, რომ წიგნის ერთი ეგზემპლარი, სათანადო წარწერით, ავტორს ილია ჭავჭავაძისათვის მიუძღვნია. იხ. გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წგნ. 1, თბ., 1991, გვ. 351.

³⁷ Авалов, З.Д. Присоединение Грузии к России. 2-е изд. СПб.: тип. Монтвида, 1906.

³⁸ Авалов, З.Д. Присоединение Грузии к России. М., Вече, 2011; Авалов, З.Д. Присоединение Грузии к России. М., Издательство Вече, 2017; Авалов, З.Д. Присоединение Грузии к России. М., Издательство Вече, 2017. Военно-историческая библиотека.

წარმომადგენლებს შეეხოთ. ასვე მოხდა ზურაბ ავალიშვილიშვილის შემთხვევაშიც. ეს ფაქტი იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ელემენტია, თუმცა ამ მხრივ ვითარება არც პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემულ წიგნებში შეცვლილა. ახლა ხომ მაინც შეიძლება ავალოვის შემდეგ თუნდაც ფრხილებში ჩაეწერათ ავალიშვილი, მაგრამ არა!

ზურაბ ავალიშვილის წიგნში განხილული პრობლემა კვლავაც აქტუალურია. საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დღეს შეწყვეტილია, რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული, ამიტომ მეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ წიგნის ქართულ ენაზე სათანადო კომენტარებით გამოცემას, და რაც მთავარია, გულდასმით წაკითხვასა და გააზრებას.

ასაღნიშავია რომ ზურაბ ავალიშვილის ნაშრომი დასათაურებულია, როგორც „საქართველოს შეერთება რუსეთის იმპერიასთან,“ თუმცა ტექსტში განმარტებულია, რომ XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო დაყოფილი იყო სამეფო-სამთავროებად. „საქართველოში“ აქ იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო, რომელიც თითქოს ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთის იმპერიას. რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, ზ. ავალიშვილი ხაზგასმით მიუთითებს, რომ რუსეთმა იგი დაიპყრო და ასე გახდა იმერეთი იმპერიის შემადგენელი ნაწილი.

სრულადაც არაა გასაკვირი, რატომ იმეორებდა ზურაბ ავალიშვილი რუსეთის იმპერიის ოფიციალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისს. ბუნებრივია, რომ ამ თემის შეხება და მასზე მსჯელობა ძალზე ფრთხილი და დაკვირვებული უნდა ყოფილიყო. ის ფაქტი რომ ქართველ მეფეებს სურდათ რუსეთთან დაახლოება, ნამდვილად შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ რა პირობით სურდათ, ამას შემდგომ ყურადღება აღარ მიექცა.

მნიშვნელოვანი და საყურადღებოა იმ პირობების განხილვა თუ რა ვითარებაში უწევდა ზურაბ ავალიშვილს წიგნზე მუშაობა, ქონდა თუ არა მას იმისი საშუალება, შეულამაზებლად გამოეხატა და გადმოეცა ის რეალური თვალსაზრისი, რომელიც გააჩნდა.

ზურაბ ავალიშვილის წიგნი მაშინ დაიწერა და გამოქვეყნდა, როდესაც რუსეთის ხელისუფლება სრულად აკონტროლებდა ვითარებას მთელს იმპერიაში და მათ შორის, საქართველოსა და კავკასიაში. ავტორს, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერ შეძლებდა

საქართველოს დაპყრობისათვის დაპყრობა, ანექსიისათვის ანექსია დაერქმია და ამაში ბრალი პირდაპირ რუსეთის იმპერიისათვის დაედო.

ამ საკითხზე მინიშნება აშკარად იგრძნობა ზ. ავალიშვილის წიგნის პირველ ქართულ რეცენზიაში, რომელიც თვალსაჩინო ქართველო მოღვაწესა და მოაზროვნეს არჩილ ჯორჯაძეს ეკუთვნის.

არჩილ ჯორჯაძის რეცენზია ზ. ავალიშვილის წიგნის გამოცემიდან ახლო ხანებში გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა. პირველი, რაც თვალშისაცემია ამ რეცენზიაში, არის ის, რომ ა. ჯორჯაძე განასხვავებს წიგნის „მეცნიერ ავტორსა და ავტორ პოლიტიკოსს.“ ავტორ-პოლიტიკოსში აქ იგულისხმება მისი მსოფლმხედველობა, ა. ჯორჯაძის სიტყვით, - „პოლიტიკური ფილოსოფია.“

ა. ჯორჯაძე ზ. ავალიშვილის მონოგრაფიას „კარგ წიგნს“ უწოდებს. წერს: „ავალიშვილის თხზულება იმგვარ თხზულებათ ეკუთვნის, რომლის ღირსება მკითხველის თვალში შეურყეველია და რომელიც ჩვენს დამშეულ ნაციონალურ თვითცნობიერება აძლევს ნოყიერ, კარგ მოსანელებელ საკვებსა და საზრდოს.“

ის ფაქტი, რომ ავალიშვილის გამოკვლევა შესრულებულია მეცნიერული კეთილსინდისიერებით, დაფუძნებულია ფაქტებსა და ობიექტური რეალობის წარმოჩენაზე, რეცენზენტს ნაშრომის ღირსებად და წიგნის ძლიერ მხარედ მიაჩნია. ამასთან, ა. ჯორჯაძე არ ერიდება კრიტიკულ მსჯავრსაც და აღნიშნავს: „ავტორის პოლიტიკური ფილოსოფია არ არის ლოღიკურად დაკავშირებული წიგნის მეცნიერულ ნაწილთან. ეს ის სუბიექტური ელემენტია, რომელიც არღვევს წიგნის სიმთელეს და ჰარმონიას. ამაშია თხზულების სისუსტე.“

ა. ჯორჯაძის სიტყვით, „ავტორს, როგორც იურისტს, აინტერესებს, როგორ და რანაირად მოისპო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა!“ განხორციელდა იგი ორმხრივი იურიდიული აქტისა და თანხმობის საფუძველზე თუ მხოლოდ ცალმხრივი ძალდატანებით. ამ საკითხის გარკვევაში ზ. ავალიშვილმა გამოიჩინა „სრული მიუკერძოება და თამამობა, დიდი ნიჭი დაწვრილებითი გამოკვლევისა და ამიტომაც მისი დასკვნა, დასაბუთებული და შემოწმებული, ნათელია, როგორც დღე.“

ზ. ავალიშვილს თავისი დასკვნა ასე აქვს გამოთქმული: „საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობის დროს არ იყო დაცული ...იურიდიული

ფორმა. „საქართველოს შეერთება რუსეთთან არ გამოისახა განსაზღვრულ იურიდიულ აქტებში.“³⁹

მიუხედავად ამგვარი დასკვნისა, წერს ა. ჯორჯაძე, ავტორი ისეა გატაცებული „ფაქტის თაყვანისმცემლობითა“ და „რეალიზმით“, რომ ამ რეალიზმს ანაცვალა სამართალიც.⁴⁰

არჩილ ჯორჯაძის გულისტკივილი გასაგებია. იგი წუხს, რომ დაპყრობილი ქვეყნის შვილი ვერ აღიარებს თავის სამშობლოს დაპყრობის ფაქტს და ვერ ხდის ნიღაბს მოძალადე რუსეთის იმპერიას.

ასეთი პირდაპირობა მაშინ, ალბათ, დიდი რისკი იქნებოდა და ზ. ავალიშვილიც მოერიდა მას, თუმცა დაკვირვებული მკითხველი მის ტექსტში აქა იქ მაინც აღმოაჩენს გულის მოსაფხან პასაჟებს. მაგალითად ასეთს: საქართველო საუკუნეების განმავლობაში ერთმორწმუნე რუსეთში დაეძებდა მხსნელს, საკუთარი სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად ითხოვდა მფარველობას, მაგრამ რუსეთში ეს თხოვნა, ზ. ავალიშვილის სიტყვით, „რუსული რედაქციით მიიღეს, როგორც თხოვნა სრულ ქვეშევრდომობაზე. სწორედ აქედან წარმოიშვა შეერთება annexion pure et simple.“⁴¹ ან კიდევ: საქართველოს შეერთება რუსეთთან რომ განხორციელდა იმ ფორმით, როგორც განხორციელდა და არა სხვაგვარად, ეს „პირდაპირ გამომდინარეობდა იქიდან, რომ რუსეთი წყვეტდა რა საქართველოს ბედს, ანგარიშს უწევდა მხოლოდ საკუთარ ინტერესებს და თავის პუნქტუალობას.“⁴²

1906 წელს, რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში, ხელმეორედ გამოცემული თავისი წიგნის წინასიტყვაობაში ზ. ავალიშვილი უფრო მეტ გამბედაობას იჩენს და წერს: „საქართველოს შეერთება რუსეთთან, გარდა მისი ისტორიული მნიშვნელობისა რუსეთის ძლიერების ზრდისათვის, თვითონ საქართველოსთვის წარმოადგენდა საბედისწეო მოვლენას თავისი გარდუვალობითა და შედეგებით. ...იმის შემდეგ, რაც ქართველებს აღარ ჰქონდათ თავისი საკუთარი პოლიტიკა და მათი ბედ-იღბალის გამგებლობა რუსეთის ხელისუფლების ხელში

³⁹ Авалов, З. Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, с. 197.

⁴⁰ არჩილ ჯორჯაძე, ბიბლიოგრაფია („Присоединение Грузии к России.“ З. Авалова. Петербург. 1901 г.), გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ., 19 სექტემბერი.

⁴¹ ფრანგ. „წმინდა და მარტივი ანექსია“. Авалов, З. Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, с. 249.

⁴² Авалов, З. Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, с. 264.

გადავიდა, მათ არა ერთხელ ჰქონდათ საფუძველი ავად ეხსენებინათ იმპერიის შემადგენლობაში თავისი ერის შესვლის დღე; და წარსულის განხილვისას, ისინი ხშირად მცდარად სცნობდნენ თავის წინაპრების მოქმედებას....

ნანობენ რა ჩვენი დროის ქართველები იმ უდრეკობაზე, რომლითაც მე-18 საუკუნის ქართველები მიისწრაფოდნენ რუსეთის მფლობელობის ქვეშ, ამას მათ აიძულებს მათი სამშობლოს ეხლანდელი სავალალო მდგომარეობა და არა წარსულის კრიტიკული შეფასება.⁴³

ზურაბ ავალიშვილის წიგნი ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზას ემყარება. ავტორს შესწავლილი აქვს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს საარქივო მასალები (საბჭოს სხდომათა ჟურნალები), კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები სხვა დოკუმენტური წყაროები და ლიტერატურა.

განსახილველი წიგნი 322 გვერდისაგან შედგება, დაყოფილია თორმეტ თავად (თავებს შიგნით გამოყოფილია პარაგრაფები), ერთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“, იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი და სხვ.

ამ დოკუმენტების წიგნში შეტანის მიზანი, გარდა ნაშრომის სამეცნიერო ხასიათის წარმოჩენისა, სავარაუდოდ, ავტორის მისწრაფებაც უნდა ყოფილიყო, მკითხველს უშუალოდ პირველწყაროების გაცნობით შეჰქმნოდა წარმოდგენა, რომელ მხარეს რა სურდა და საბოლოო ჯამში რა როგორ შესრულდა.

მცირე წინასიტყვაობის შემდეგ გამოკვლევის პირველ თავში თხრობა იწყება ისტორიული ექსკურსით და მიმოხილულია საქართველოს ისტორიის ვრცელი მონაკვეთი, ფეოდალური მონარქიის გაერთიანებიდან - ვიდრე XIX საუკუნის დამდეგამდე.

ზ. ავალიშვილი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს აღზევებაზე XII საუკუნეში თამარ მეფის მმართველობის დროს, ასევე დაცემის პერიოდზე, როდესაც ირანი მონღოლებმა დაიპყრეს და შემდგომ ჯერი საქართველოზე მიდგა. ირანის მონღოლების მიერ დაპყრობის შემდეგ საქართველო ძალზე მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა, მანამ სანამ მათი მფლობელობა არ გადავარდა გიორგი ბრწყინვალეს დიდი

⁴³ ციტირებული წიგნიდან: გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წგნ. 1, თბ., 1991, გვ. 354.

ძალისხმევით. ყველა ეს მაგალითი ზ. ავალიშვილს მოყვანილი აქვს იმის საჩვენებლად, როგორი რთული პირობები იყო შექმნილი საქართველოსთვის მისი მეზობელი ქვეყნებიდან გამომდინარე.

წიგნში გაშუქებულია საქართველოს მდგომარეობა ერთიანი სახელმწიფოს რამდენიმე სამეფო-სამთავროდ დაშლის შემდეგ. ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს მნიშვნელოვან ტეხილს საქართველოს წარსულში, კერძოდ XV საუკუნეს. აღნიშნავს, რომ ამ საუკუნის ისეთმა რეზონანსულმა მოვლენებმა, როგორც იყო ბიზანტიის დაცემა 1453 წელს და პოლიტიკურ ასპარეზზე სპარსეთისა და ოსმალეთის გააქტიურება, დიდწილად განსაზღვრეს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება მომდევნო საუკუნეების განმავლობაში.⁴⁴

ნაშრომის მეორე თავში ზ. ავალიშვილი აღწერს აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთობას სეფიანთა სპარსეთთან. XVI-XVII საუკუნეებში საქართველოს მიწა-წყალი სპარსეთ-ოსმალეთის ქიშკობის ობიექტს წარმოადგენდა და განადგურების საფრთხე ედგა. სანამ რუსეთის იმპერია დაინტერესდებოდა საქართველოთი, მანამ ჩვენს ქვეყანას ირან-ოსმალეთის შორის უწყვედა ყოფნა. საუკუნეების მანძილზე საქართველო გაყოფილი იყო ორ ნაწილად: დასავლეთ საქართველო შედიოდა ოსმალეთის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო - ირანის შემადგენლობაში.

ავტორი აღნიშნავს, რომ სპარსეთს შაჰებს დიდხანს გააჩნდათ პრეტენზია საქართველოს მიწა-წყალზე, რომელსაც თავისად თვლიდნენ.

წიგნის მესამე თავში ზ. ავალიშვილი მოგვითხრობს საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემაზე, - არჩევანზე სპარსეთსა და რუსეთს შორის. მიუთითებს პირველთან შერწყმის წინააღმდეგობაზე და მეორესთან მიზიდულობის ასპექტებზე. ავტორს ახსნილი აქვს მიზეზები, რა პრივილეგიების გამო ემხრობოდნენ საქართველოს მეფეები რუსეთს და არა ირანს. ქართული სამეფო-სამთავროების მესვეურები ბევრჯერ ეცადნენ დახმარება მიეღოთ დასავლეთის სახელმწიფოებისაგან, მაგრამ ამაოდ, ევროპის ქვეყნებმა ვერც ერთხელ გაუწიეს ჩვენს ქვეყანას სათანადო თანადგომა. ერთადერთი რეალური დამხმარე ძალა ქართველმა მეფე-მთავრებმა დაინახეს ჩრდილოეთით გაძლიერებულ მოსკოვის სამეფოში - რუსეთში. რუსეთის იმპერია

⁴⁴ Авалов, З. Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, с. 14.

ყველა მხრივ მშველელად წარმოედგინა ჩვენს წინაპრებს. ამის ერთ ერთ უმთავრეს ფაქტორს რელიგია წარმოადგენდა - რუსეთიც საქართველოსავით მართმადიდებელი ქვეყანა იყო. მაგრამ მიუხედავად ერთმორწმუნეობისა, რუსეთმა საქართველოს არაერთხელ გაუცრუა იმედი და იგი მარტო დატოვა საკუთარი პრობლემების წინაშე.

ზ. ავალიშვილი ყურადღებას ამახვილებს „მუსლიმი მეფეების“ პერიოდზე, - განსაკუთრებით „შაჰის ფეხთა მტვრის“ - როსტომ ხანის მმართველობაზე, როდესაც ქართლში სრული სიმშვიდე კი იყო, ქრიატიანობაც არ იდევნებოდა, მაგრამ მოსახლეობაში გარკვეულწილად ვრცელდებოდა ირანული წეს-ჩვეულებები.

განსახილველი წიგნის მეოთხე თავი ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ის ურთიერთობასა და მისგან გამომდინარე შედეგების გაშუქებას ეთმობა.

ვახტანგ VI მეფობის ხანა საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი პერიოდია. იგი გამორჩეულია საქართველოს ლიტერატურული და ინტელექტუალური აღორძინების დაწყებით. ვახტანგის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად ქვეყანამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა.

მეფე ვახტანგმა აქტიური ურთიერთობები ჩამოაყალიბა რუსეთის იმპერატორ პეტრე I-თან. ზ. ავალიშვილის სიტყვით, ქართლის მეფეს ორი არჩევანი ჰქონდა: ან რუსეთთან ან სპარსეთთან დაკავშირება.

ვახტანგმა რუსეთი ამჯობინა. მეფე იმედოვნებდა, რომ რუსეთის დახმარებით საქართველოს ირანელთა ბატონობისაგან გაათავისუფლებდა და თურქეთის მიერ მიტაცებულ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიებსაც დაიბრუნებდა. ამიტომაც „Он поставил на карту все раньше, чем эта помощь пришла в конце концов, она так и не пришла.“⁴⁵

ვახტანგი თვლიდა, რომ რუსეთიდან 5 000-იანი ჯარის შემოსვლა საერთო მტრის წინააღმდეგ ქართველთა გაერთიანებას ხელს შეუწყობდა. 1720 წელს პეტრე I და ვახტანგ VI ირანის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. რუსეთის ქვეითი ჯარი, რომელსაც გენერალ-ადმირალი აპრაქსინი მეთაურობდა, 1722 წლის 18 ივლისს 274 გემით გამოემგზავრა ასტრახანიდან. გემებს სახმელეთო გზით გამოჰყვა ცხენოსანი ჯარი. მცირე ხნით ადრე, 2 ივლისს, რუსეთიდან საქართველოში მოავლინეს

⁴⁵ Авалов, З. Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, с. 61.

ბორის თურქესტანიშვილი, რომელმაც ქართლის მეფეს პეტრეს წერილი გადასცა, სადაც აღნიშნული იყო, რომ სულ მალე რუსეთის ჯარი კასპისპირეთში შემოვიდოდა. ამით იმედმოცემული ვახტანგ VI რუსეთის იმპერატორს აღუთქვამდა, რომ 20 აგვისტოს განჯაში იქნებოდა თავისი ჯარით. თითქმის ერთდროულად ქართლის მეფეს თურქეთის წინადადებაც მოუვიდა, რომლის მიხედვითაც ირანზე ლაშქრობაში მონაწილეობის სანაცვლოდ მთელ საქართველოში გამეფებას ჰპირდებოდნენ. ვახტანგმა ამ შეთავაზებაზე უარი თქვა და ყველაფერი პეტრეს შეატყობინა. 23 აგვისტოს რუსებმა დარუბანდს მიაღწიეს. პეტრე I-მა აქ გარნიზონი ჩააყენა და მდინარე სოლახზე ციხესიმაგრის მშენებლობა დაიწყო, მაგრამ ლაშქრობის გაგრძელება გადაიფიქრა. ეს რამდენიმე გარემოებით იყო გამოწვეული: ძლიერი ქარის გამო კასპის ზღვის სანაპიროზე გაჩერებულ გემებში წყალმა შეაღწია და ფქვილის თითქმის მთელი მარაგი დაასველა. ჯარში გავრცელდა ავადმყოფობები, დაეხოცათ ცხენებიც. ზღვაზე მორიგი ღელვის გამო კი დარუბანდისაკენ მომავალი რუსული გემები ჩაიძირა. ამ ყველაფერს თან დაერთო ურთიერთობის გამწვავება ოსმალეთთან. ყოველივე ამის გამო, პეტრე I 1722 წლის შემოდგომაზე ასტრახანში დაბრუნდა იმ იმედით, რომ გაზაფხულზე ლაშქრობას განაახლებდა, ხოლო ვახტანგთან მოსალაპარაკებლად პოდპორუჩიკი ივანე ტოლსტოი და ბორის თურქესტანიშვილი გამოგზავნა, რომლებიც თბილისში 27 ოქტომბერს ჩამოვიდნენ. პეტრეს დესპანები თბილისში მყოფმა ვახუშტი ბატონიშვილმა მიიღო, რომელიც ძალიან შეაშფოთა რუსეთის ჯარის უკან გაბრუნების ამბავმა, რადგანაც ადვილი შესაძლებელი იყო, ამას ოსმალთა შემოჭრა მოჰყოლოდა საქართველოში.⁴⁶

ასეც მოხდა. ვახტანგ VI-ის საქმე, როგორც ზ. ავალიშვილი წერს, წაგებული იყო, მას „მწარე იმედგაცრუება“ ელოდა. პეტრე პირველს „разчеты и планы грузин ни мало не интересовали; он видел в Вахтанге одно лишь орудие своей политики.“⁴⁷

ზურაბ ავალიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს ქართველ პოლიტიკოსთა (ვახტანგ მეექვსე, ერეკლე მეორე) გულუბრყვილობასა და ნაივურ მიმდობლობას რუსეთისადმი. ეს მეფეები აღმოსავლურ პოლიტიკურ პროცესებში დეტალურად ერკვეოდნენ, მაგრამ რუსეთთან მიმართებაში მიაშიტობას იჩენდნენ, რადგან „Россия была для них

⁴⁶ საქართველოს ისტორია, ტ. III, 2012, გვ. 308.

⁴⁷ Авалов, З. Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, с. 72.

воплощением не только могущества, но и знания, порядка, мудрости, столпом православия и т. д.“⁴⁸

წიგნის მომდევნო თავში საუბარია ნადირ შაჰის მმართველობის პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს აღორძინებაზე. მეექვსე თავი რუსეთ-ოსმალეთისა 1768-1774 წლების ომსა და მასში ქართული პოლიტიკური ერთეულების მონაწილეობას ეძღვნება. მეშვიდე თავში განხილულია მონაკვეთი ქუჩუკ-კაინარჯის ზავიდან (1774 წ.) - გეორგიევსკის ტრაქტატამდე (1783 წ.).

ნაშრომის მერვე თავში, რომშიც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს ეხება, ზ. ავალიშვილი შენიშნავს, რომ ვახტანგ VI-ის მაგალითმა აიძულა ერეკლე რუსეთთან დაედო გარკვეული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რუსები ვალდებულები იქნებოდნენ საქართველო დაეცვათ გარეშე მტრებისგან, ხოლო საქართველო ერთგულებასა და მორჩილებას პირდებოდა.

ზ. ავალიშვილი გეორგიევსკის ცნობილ ტრაქტს მეგობრობის, თუმცა „უთანასწორო კავშირის“ ხელშეკრულების ხასიათის დოკუმენტად მიიჩნევს, რომელიც ფორმით პროტექტორატს შეესაბამება და ორივე ხელმომწერ მხარეს გარკვეულ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას აკისრებდა.⁴⁹ საყოველთაოდ ცნობილია, რომ გეორგიევსკი ტრაქტატის პირობები, რომლის მიხედვითაც, რუსეთი საქართველოს მფარველობას პირდებოდა, არ შესრულდა.

წიგნის მეცხრე თავის სახელწოდებაა „საქართველო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ“. მეათე თავი გიორგი XII-ის მეფობის წლებს აშუქებს და სათაურად აქვს: „შეერთების წინ“. მეთერთმეტე თავში გადმოცემულია საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების პერიპეტიები, ხოლო მეთორმეტე - დასკვნითი თავი აჯამებს მთლიან ნაშრომს და წარმოადგენს განსახილველი საკითხის ავტორისეულ შეფასებას.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პროცესი ზ. ავალიშვილს შემდეგნაირად აქვს წარმოჩენილი: 1783 წლის ტრაქტატით განსაზღვრულ ურთიერთობებს ჩაენაცვლა ოკუპაცია, რომელსაც თან ახლდა საქართველოს პოლიტიკური ყოფის გამომხატველი

⁴⁸ Авалов, З. Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, с. 58.

⁴⁹ Авалов, З. Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, с. 136; 144.

სამეფო ხელისუფლების გაუქმება, ოკუპაცია კი შეცვალა ინკორპორაციამ - რუსული სახელმწიფოებრივი წესრიგის გავრცელებამ მთელ ქვეყანაზე.⁵⁰

ზურაბ ავალიშვილი წერს, რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლა პირველხარისხოვანი, ძალზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო და დასძენს, რომ რუსეთს არანაირი ეკონომიური, პოლიტიკური, გეოგრაფიული (საზღვრების გასწორების მიზნით) ინეტერესი არ გააჩნდა საქართველოში. საქართველოს შეერთება იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართველების დამხარება როგორც ერთმორწმუნე ქვეყნის და ხალხისა. საქართველოს ჭირდებოდა და ეძებდა რუსეთის სახით დამხმარე ძალას რომელიც მას იხსნიდა ირან-ოსმალეთის კლანჭებისგან: „Россия не имела в Грузии никаких экономических интересов; не могла она ее привлекать и в видах «исправления» границ, но сама Грузия нуждалась в помощи России и, не удовлетворяясь протекторатом, искала более тесного единения.“

ზურაბ ავალიშვილი განმარტავს, რატომ გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო, რატომ იყო ეს ქართველებისათვის ძალზე მტკივნეული და რუსეთის იმპერიისთვის საქართველოში მეფის შენარჩუნება დაუშვებელი ფაქტი.

რუსეთის იმპერიამ გადაწყვიტა საქართველოს დახმარება და შეერთება, ეს აზრი ეკუთვნოდა ქართველებს, მაგრამ რა პირობით მოხდებოდა ეს შეერთება, ამას უკვე რუსეთი წყვეტდა. მეფობის შენარჩუნება საქართველოში არ შედიოდა რუსეთის სამომავლო გეგმებში, რომლებიც დასახული ქონდა წინა აზიასთან დაკავშირებით. ქართველები კი შუასაუკუნოვან პრივილეგიებს მიმართავდნენ და სურდათ რუსეთთან ურთიერთობა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების თანახმად.

ავტორის სიტყვით რომ გადმოვცეთ: „Вполне понятные и законные желания Грузии пришлось просто-напросто устранить, потому что исполнение их не вязалось ни с характером русской государственности, ни с осуществлением дальнейших политических задач России в Передней Азии. Именно грузины стояли на средневековой точке зрения привилегии, они желали присоединения на известном условии, в форме договора. Все это искони было чуждо России, которая еще за три века до того отказала Новгороду в вече и колоколе — во имя единства государства и равного подчинения его частей власти. Затем,

⁵⁰ Авалов, З. Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, с. 243.

желание грузин сохранить и в условиях русского подданства кое-что из старого устройства (именно царя) противоречило неизбежной потребности в диктатуре: управление Грузией начала XIX века в связи с внешними осложнениями и войной требовало героических средств администрации. Желания грузин были неисполнимы в таких условиях.⁵¹

ზურაბ ავალიშვილი არგუმენტების მოშველიებით მსჯელობს და მიდის დასკვნამდე, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემთხვევაში, საქართველოს ინტერესების უკუგდება გარდაუვალი იქნებოდა ადრე თუ გვიან. „Противоречие это устранили: сразу же решено было присоединить Грузию как простую провинцию. Такое радикальное решение вопроса было тогда далеко не безболезненно; всякое крупное политическое дело требует жертв, и тогда Грузии пришлось принести эту жертву. Но теперь можно сказать, что такое решение вопроса в самом начале было благотельно: привилегия рано или поздно была бы отнята, т. е. ее бы пришлось отнять, как нечто такое, чего Россия вообще не любит. А чем раньше, тем лучше, тем скорее предается забвению то, что обречено на умирание.“

ზურაბ ავალიშვილის ნაშრომის შესწავლა, გვაფიქრებინებს, რომ თვითონ ქართველებმა ვერ გააკეთეს სწორი არჩევანი. არ უნდა ყოფილყო ძნელი მისახვედრი, რომ უზარმაზი იმპერია, რომელიც გამოირჩეოდა დიქტატურისაკენ მისწრაფებით, არ დაუშვებდა საქართველოში მონარქის არსებობას. როგორც ზ. ავალიშვილი წერს: „Желание грузин сохранить и в условиях русского подданства кое-что из старого устройства (именно царя) противоречило неизбежной потребности в диктатуре.“⁵²

⁵¹ Авалов, З. Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, с. 7

⁵² Авалов, З. Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, с. 6.

თავი III.

მ. ხელთუფლიშვილის წიგნი „Вступление Грузии в состав Российской империи“

მიხეილ ხელთუფლიშვილის წიგნი „საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემდგენლობაში“ 1901 წელს, ქუთაისში გამოიცა. ნაშრომი თავის დროზე საქართველოში კარგად ცნობილმ წიგნის გამომცემელმა ალექსანდრე არაბიძემ გამოსცა.⁵³ ა. არაბიძე 1900-იან წლებში გამოსცემდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველ და სოციალ-პოლიტიკური შინაარსის ისტორიულ ნარკვევებს, ქართველ ხელოვანთა, საზოგადო მოღვაწეთა და სხვ. ფოტოსურათებს. წიგნი ივანე კილაძისა და იოსებ ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა.

როგორც ზურაბ ავალიშვილის მონოგრაფიის „საქართველოს შეერთება რუსეთთან“, ხელთუფლიშვილის წიგნის გამოცემაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ინკორპორაციის 100 წლის თავს უკავშირდება.

აუცილებელი და გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომელ წლებში და სად წერდა თავის ნაშრომს ახალგაზრდა ქართველი ავტორი მიხეილ ხელთუფლიშვილი.

მიხეილ ხელთუფლიშვილის ბიოგრაფიაში მითითებულია, რომ ეს ნაშრომი მან დაწერა მოსკოვში, როდესაც ჯერ კიდევ სტუდენტი იყო და სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე. ნაშრომის გამოსაქვეყნებლად მაშინვე სითამამე არ ეყოთ, მაგრამ სამომავლოდ წიგნი გამოიცა საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში. როგორც განსახილველი წიგნის შენიშვნაშია მითითებული, წიგნის ერთი ნაწილი, სტატიის სახით ავტორს ჯერ კიდევ 1891 წელს დაუწერია და ჟურნალ „Юридический вестник“-ში გამოუქვეყნებია, რომელსაც მოსკოვის იურიდიული საზოგადოება მოსკოვში გამოსცემდა.

ნაშრომზე მუშაობისას მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტ მიხეილ ხელთუფლიშვილს ქონდა წვდომა დოკუმენტებთან, რომლებიც ასახავდნენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობას. ნაშრომის წერისას მას გამოყენებული აქვს ეკატერინე მეორის წერილები დუბროვინისადმი, ციციანოვის წერილები, მეფე გიორგი XII-ის წერილები, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები და სხვ. ეს ყველაფერი მიუთითებს ხელთუფლიშვილის განსწავლულობაზე, მკვლევრისათვის

⁵³ ა. არაბიძე 1937 წელს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა, იგი საბჭოთა ხელისუფლებამ დახვრიტა.

დამახასიათებელ უნარზე და იმაზეც, რამდენის საშუალება მიეცა მას მოსკოვში სწავლისას.

მ. ხელთუფლიშვილის ნაშრომი არ არის დაყოფილი თავებად, 112 გვერდის შემცველი მთლიანი გაბმული ტექსტი მხოლოდ რომაული ციფრებით, - უსათაურო პარაგრაფებით არის დანაწევრებული, რაც აძნელებს წიგნზე მუშაობას.

მიხეილ ხელთუფლიშვილი ორი ქვეყნის ურთიერთობების საწყისად მეფე თევდორე ივანეს მის დროს მიიჩნევს. აღნიშნავს, რომ 1586 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე მეორემ რუსეთის ხელმწიფეს მიმართა თხოვნით კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ. თევდორემ თხოვნა დააკმაყოფილა, კახეთი მფარველობაში მიიღო და თავის სამეფო ტიტულს კიდევ ერთი ჩანაწერი მიუმატა: „Государь Иврскія земли и Грузинских царей“.⁵⁴ მფარველობას მინიმალური ხასიათი ჰქონდა და ხანგრძლივი კავშირი სახელმწიფოებს შორის არ ჩამოყალიბებულა.

ტერმინ „საქართველოს“ გამოყენებას რუსულ წყაროებსა თუ ლიტერატურაში მიხეილ ხელთუფლიშვილი ასე განმარტავს: „საქართველოს“ ტერმინი ვრცელდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოზე, მას შემდეგ, რაც ქვეყანა სამეფო-სამთავროებად დაიშალა.⁵⁵

საქართველოს დაშლამ სამეფო-სამთავროებად გამოიწვია ქვეყნის დასუსტება და ქართველი მეფეები იძულებულები იყვნენ დამორჩილებოდნენ ან ირანს ან ოსმალეთს. კახეთის მეფე ალექსანდრე II კი ცდილობდა რუსეთის სახელმწიფოსაგან მიეღო დახმარება. მაგრამ მან ვერ შეძლო ჩამოეყალიბებინა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან, - წერს მ. ხელთუფლიშვილი.

მიხეილ ხელთუფლიშვილს ნაშრომში შესწავლილი აქვს ქართველი მეფეების რუსეთთან დაახლოებისა და ერთმორწმუნე მეზობლისაგან დახმარების მიღების სურვილები. წიგნში განმარტებულია მიზეზები თუ რატომ არ მოხერდა ეს საქმე. სანამ გიორგი XII არ გარდაცვალა, რუსეთის იმპერიამ არ შეასრულა არც ერთხელ საქართველოსთან დადებული პირობები.

მ. ხელთუფლიშვილის სიტყვით, საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის ნამდვილი ისტორია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის დროიდან იწყება. ავტორი ერეკლეს მმართველობას საქართველოს ისტორიაში

⁵⁴ Хелтуплишвили М. В. Вступление Грузии в состав Российской империи. Кутаиси, 1901, с. 7.

⁵⁵ Хелтуплишвили М. В. Вступление Грузии в состав Российской империи. Кутаиси, 1901, с. 8.

ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე მეფობას უწოდებს და მკითხველს შეახსენებს, როგორი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველი ხელისუფალი არა მარტო თავის სამეფოში, არამედ კავკასიის ხალხებში ზოგადად.⁵⁶

მ. ხელთუფლიშვილი თითქმის დეტალურად განიხილავს გეორგიევსკის ტრაქტატის მუხლებს, ანალიზებს და განმარტავს მათ. მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია, როგორ აფასებს მკვლევარი თავად ამ ისტორიულ დოკუმენტს. მ. ხელთუფლიშვილის შეფასებით, „გეორგიევსკის ტრაქტატი ერეკლე მეფისა და მისი ხალხისათვის უდიდესი უბედურების წყაროდ იქცა, რომლის პირდაპირი შედეგიც იყო ქართლ-კახეთის სამეფოს დამხობა.⁵⁷

ამის შემდგომ მიხეილ ხელთუფლიშვილი განიხილავს იმერეთის მეფე სოლომონის მმართველობას. მისი სიტყვით, სოლომონს ისე ეზიზღებოდა რუსეთი, რომ იმედოვნებდა და ოსმალეთის დახმარებით არამხოლოდ იმერეთიდან არამედ ქართლიდანაც მათი განდევნა სურდა.⁵⁸

მაგრამ სოლომონი კარგად ხვდებოდა, რომ არ უნდა გამოეაშკარავებინა საკუთარი მიზნები და გეგმები, რადგან იყო იმის საშიშროება, რომ ის ვერ შეინარჩუნებდა „მეფის“ სტატუსს და, აქედან გამომდინარე, ცდილობდა დიპლომატიურად ემოქმედა.

მ. ხელთუფლიშვილს ნაშრომში ვრცლად აქვს აქვს გადმოცემული პ. ციციანოვის მმართველობის პერიოდი საქართველოში. ავტორს არ სურდა, რომ ეჩვენებინა მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი მხარეები რუსეთის საქართველოში შემოსვლისა. მისი მიზანი იყო, ეჩვენებინა ის რეალური სახე ეპოქისა, რომელიც საქართველოში 1801 წლიდან დაიწყო.

მ. ხელთუფლიშვილი განიხილავს ე. წ „სათხოვარი პუნქტებს,“ რომელიც მეფე სოლომონსა და ციციანოვის შორის დაიდო. ავტორი კონკრეტული მაგალითებით ასახავს თუ როგორ ცდილობდა ქართული მხარე, შეეწინააღმდეგებინა მონარქი და „გეორგიევსკის ტრაქტატის“ პირობები იმერეთზეც განეწესა.

⁵⁶ Хелтуплишвили М. В. Вступление Грузии в состав Российской империи. Кутаиси, 1901, с. 9.

⁵⁷ Хелтуплишвили М. В. Вступление Грузии в состав Российской империи. Кутаиси, 1901, с. 17.

⁵⁸ Хелтуплишвили М. В. Вступление Грузии в состав Российской империи. Кутаиси, 1901, с. 52.

ნორმალური ურთიერთობები რუსეთსა და იმერეთის სამეფოს შორის ვერ ჩამოყალიბდა და ვერ მიეცა ის სახე, რომელიც ასე ძალიან უნდოდათ ქართველებს.

მიხეილ ხელთუფლიშვილი არ უარყოფს, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლის ინიციატივა ქართული მხრიდან მოდიოდა, მაგრამ ასევე თამამად უსვამს ხაზს თუ რა პირობით სურდათ ქართველებს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა. მიუხედავად ცენზურის არსებობისა, მ. ხელთუფლიშვილი არ ერიდებოდა დაეწერა ის რეალობა და განეცხადებინა, რომ შეცდომით იყო ნახსენები დოკუმენტებში საქართველოს ნებაყოფლობით შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.⁵⁹

განსახილველ ნაშრომში გადმოცემულია ასევე რუსეთის იმპერიაში დასავლეთ საქართველოს სამთავროების - სამეგრელოს, აფხაზეთისა და გურიის ინკორპორაციის მოკლე მიმოხილვაც.

მიხეილ ხელთუფლიშვილის ადრეული გარდაცვალება რომ არა, ის კიდევ ბევრს შემატებდა თავის სმშობლოს. „საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“ ერთადერთი ნაშრომია, რისი დატოვებაც ახალგაზრდა ქართველმა მკვლევარმა მოასწრო.

⁵⁹ Хелтуплишвили М. В. Вступление Грузии в состав Российской империи. Кутаиси, 1901, с.46.

თავი IV.

ზურაბ ავალიშვილის და მიხეილ ხელთუფლიშვილის ნაშრომების შეპირისპირებითი ანალიზის ცდა.

ზურაბ ავალიშვილისა და მიხეილ ხელთუფლიშვილის ნაშრომებში აღწერილია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ეპოქა - რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები უძველესი პერიოდან - საქართველოს გუბერნიად გადაქცევამდე. ბუნებრივია როგორც ზურაბ ავალიშვილს ასევე, მიხეილ ხელთუფლიშვილს წვდომა ქონდათ დოკუმენტებთან რომლებს მეშვეობითაც დაწერეს და დაასაბუთეს საკუთარი ნაშრომები.

ზ. ავალიშვილის და მ. ხელთუფლიშვილის ნაშრომები, როგორც აღინიშნა, გამოქვეყნდა 1901 წელს, რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავის საიუბილეოდ.

ისმის კითხვა თუ ვინ აღნიშნავდა ამ თარიღს, როდესაც ეს შეერთება და საქართველოში მონარქის მოსპობა ძალზე მტკივნეული იყო საქართველოსთვის და ქართველებისთვის.

კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას უნდოდა კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რომ სწორედ ქართველებს სურდათ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა და ეს თხოვნა და სურვილი მათ დაუკმაყოფილდათ. სწორედ ამ დღიდან ერთი საუკუნის გასვლა მიჩნეული იყო საიუბილეო თარიღად.

საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში სხვადასხვაგვარად იყო აღქმული რუსეთსა და საქართველოში. რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება და ოფიციალური ისტორიოგრაფია მიიჩნევდა, რომ საქართველო საკუთარი ნებით შეუერთდა რუსეთის იმპერიას, სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა და საქართველოს ინკორპორაცია რომანოვთა იმპერიაში ძალდატანებით განხორციელდა.⁶⁰

გასაზიარებელია ზურაბ ავალიშვილის შეხედულება, რომლის თანახმად, საქართველო ესწრაფვოდა რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატზე უფრო “მჭიდრო

⁶⁰ ოთარ ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 2013, გვ. 70-107.

დაახლოებას” („тесного единения”), რათა ამ გზით მაინც დაეყოლიებინა რუსეთი ქართლ-კახეთის დაცვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.⁶¹

ის გარემოება, რომ რუსეთის პროტექტორიატის ქვეშ ყოფნის ინიციატივა საქართველოს მხრიდან აღიძრა, როგორც ზურაბ ავალიშვილს, ასევე მიხეილ ხელთუფლიშვილს დადასტურებული აქვთ. მაგრამ აზრთა სხვაობა ჩანს უკვე მომდევნო ფაქტებში: მიხეილ ხელთუფლიშვილი იმოწმებს ისტორიულ წყაროებს, რათა დაასაბუთოს, რომ ქართველებს სურდათ რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი შეინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ გახდა მისი ნაშრომის ჩაბარება უნივერსიტეტში საპრობლემო. ზემოთ, ხელთუფლიშვილის ბიოგრაფიაში დამოწმებული ფაქტი, რომ ლექტორმა სტუდენტ ხელთუფლიშვილს სხვა თემის დამუშავება სთხოვა, იმითაც შეიძლება ყოფილიყო განპირობებული, რომ მის ნაშრომში აღწერილი რეალობა რუსეთის ხელისუფლებას დიდად არ მოეწონებოდა.

ზურაბ ავალიშვილის წიგნი კი დღესაც ერთ-ერთი მისაღები ნაშრომია რუსეთის ხელისუფლებისათვის. ამის უტყუარი მოწმობაა ის, რომ 2009 წელს რუსულმა ჟურნალმა ხელახლა გამოსცა ეს წიგნი თანდართული კომენტარებით.⁶²

2011 წელს სანქტ-პეტერბურგში გამომცემლობა „ვექემ“ სამიათასიანი ტირაჟით კვლავ დაბეჭდა წიგნი „Присоединение Грузии к России,“ რომელიც იმავე გამომცემლობამ 2017 წელს ხელახლა გამოაქვეყნა. ბოლო გამოცემის ყდაზე ვკითხულობთ ციტატას წიგნიდან: „რუსეთს არ ჰქონია საქართველოში რაიმე ეკონომიკური ინტერესი, არ იყო მიმზიდველი საზღვრების „გასწორების“ თვალსაზრისითაც, მაგრამ თვით საქართველო საჭიროებდა რუსეთის დახმარებას და არ კმაყოფილდებოდა რა პროტექტორატით, ეძიებდა უფრო მჭიდრო ერთიანობას“ („Россия в Грузии не имела никаких экономических интересов, не могла ее привлекать и в видах «исправления границ», но сама Грузия нуждалась в помощи России и не удовлетворяясь протекторатом мскала более тесного единения“). ზურაბ ავალიშვილის ნაშრომში ნამდვილად მოიძებნება მსგავსი სიტყვები. ნუთუ მართლა ასე მიაჩნდა ქართველ

⁶¹ Авалов, З. Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901, с. 195.

⁶² З. Д. Авалов. Присоединение Грузии к России. Комментарии Г.А. Анакидзе и Б. П. Миловидова. – СПб.: Журнал «Звезда», 2009.

მკვლევარს, ისტორიკოსს და დიპლომატს? პატრიოტს, რომელიც სწორედ საბჭოთა რუსეთის საქართველოზე ძალმომრეობის შედეგად იძულებული გახდა ემიგრაციაში გახიზნულიყო და საზღვარგარეთიდან ებრძოლა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის? რა თქმა უნდა არა!⁶³ სხვა თუ არაფერი, ზ. ავალიშვილს ეკუთვნის 1924 წელს პარიზში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც მომდევნო წელს თბილისში ქართულად გამოიცა.⁶⁴ აქ ავტორი ობიექტურად და დაუფარავად ამხელდა საქართველოსთან რუსეთის მიმართების ნამდვილ ხასიათს. წერდა, რომ „საქართველოს რუსეთთან შეერთება მოხდა არანორმალურ პირობებში. თავის დროზე (1801 და შემდეგ) იგი უმტკივნეულოდ არ ჩატარებულა.“

გასათვალისწინებელია ის გარემოებები როდესაც ზურაბ ავალიშვილი ქმნიდა თავის პირველ ნაშრომს. ბუნებრივია, რომ მას არ ექნებოდა აზრის გამოხატვის სრული თავისუფლება. ავალიშვილს რომ რეალური ფაქტები გადმოეცა და დაეფიქსირებინა საკუთარი თვალსაზრისი, რა თქმა უნდა, მის ნაშრომს არამც თუ გამოაქვეყნებდნენ, არამედ ავტორსაც არ დააყენებდნენ კარგ დღეს.

როდესაც ზურაბ ავალიშვილს მიეცა საშუალება თავისუფლად გამოეხატა აზრი, წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა“ მან დაწერა, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ზურაბ ავალიშვილი „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ წერის პერიოდში ითვალისწინებდა მძიმე რეალობას, რომელიც იყო მის გარშემო შექმნილი და ვერ გამოხატავდა ნადვილ თვალსაზრისს, რაც მას გააჩნდა. ხოლო ევროპაში მყოფმა ავტორმა თამამად გამოხატა რუსეთის რეალური სახე და საქართველოს მდგომარეობა 1800 წლიდან მოყოლებული საქართველოს გასაბჭოებამდე.

მაგრამ ეს გარემოებები არაა გათვალისწინებული და დღესაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთი ისევ „მხსნელად“ და საქართველოს „მფარველად“ თვლის თავს.

„რუსეთში ხიბლავთ ავალიშვილის მიერ პირუთვნელი აღნიშვნა იმ დადებითი მხარეებისა, რაც 1801 წლის ანექსიამ საქართველოს მოუტანა, თუმცარუსეთში რატომღაც ავიწყდებათ ის სამართლებრივი შეფასებები, რომლებიც ზ. ავალიშვილმა

⁶³ გურამ ყორანაშვილი. „უცნობი“ ზურაბ ავალიშვილი. ჟურნალი „ისტორიანი“, N78

⁶⁴ ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი, 1925.

მისცა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას, რასაც მან ერთმნიშვნელოვნად ოკუპაცია და ინკორპორაცია უწოდა,“ - წერს მამუკა წურწუშია ზ. ავალიშვილის პარიზში დაბეჭდილი წიგნის („საქართველოს დამოუკიდებლობა...“) ახალი ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში.

„რუსეთში ავალიშვილის 1901 წლის წიგნის („Присоединение Грузии к России“) ხელახალი გამოცემის კონტექსტის გათვალისწინებით, რუსეთის მიერ საქართველოს მეორე დაპყრობის შესახებ დაწერილი ნაშრომის საქართველოში გამოცემას მისი გამომცემლისთვის სიმბოლური და საპასუხო რეაქციის დატვირთვაც ჰქონია: ...სამწუხაროდ, ბევრი ის საკითხი, რის გამოც თავის დროზე ზ. ავალიშვილის წიგნი დაიწერა, დღესაც აქტუალურია. ამიტომაც, მეტი მნიშვნელობა ენიჭება მის ხელახალ გამოცემას და რაც მთავარია, გულდასმით წაკითხვას და გააზრებას.“⁶⁵

ზურაბ ავალიშვილისა და მიხეილ ხელთუფლიშვილის მოსაზრებები საკმაოდ განსხვავებულია იმის შესახებ, როგორ მოექცა საქართველ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ეს მათი ნაშრომების სათაურებიდანვე ჩანს. ზურაბ ავალიშვილი თავის წიგნს არქმევს „Присоединение Грузии к России“ ანუ საქართველოს შეერთება რუსეთთან, ხოლო მიხეილ ხელთუფლიშვილი ასათაურებს „Вступление Грузии в состав Российской империи“ - საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიაში.

ნაშრომებს სათაურების გარდა განასხვავებთ ტექსტის აგებულება, განსახილველ კონკრეტულ საკითხთა დიაპაზონი, მოცულობა და გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხაც. ამასთან ზ. ავალიშვილთან, მისი იურიდიული პროფესიიდან გამომდინარე, პრობლემა სამართლებრივ ჭრილშიცაა დანახული, მაშინ, როდესაც მ. ხელთუფლიშვილი ძირითადად თემის ისტორიის გადმოცემით კმაყოფილდება.

ზ. ავალიშვილისგან განსხვავებით, მ. ხელთუფლიშვილს ნაკლებად აქვს მიქცეული ყურადღება საქართველოს ურთიერთობაზე ირან-ოსმალეთთან, მაგრამ ძალზე დიდ ადგილს უთმობს საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ჯერ კიდევ კახეთის მეფე ალექსანდრეს დროიდან მოყოლებული. აღწერს თუ რამდენი მცდელობა ქონდათ ქართველებს და სურვილი რუსებთან კავშირის დამყარებისა და რამდენჯერ ელოდებოდნენ ერთმორწმუნე რუსეთისაგან ქართველები დახმარებას. წარმოაჩენს იმ

⁶⁵ http://defencegeorgia.blogspot.com/2011/06/blog-post_03.html

იმედგაცრუებებს, ქართველებმა რომ ნახეს და მაინც რომ ცდილობდნენ უფრო მყარი ურთიერთობის ჩამოყალიბებას გარკვეული დოკუმენტების საფუძველზე (იგულისხმება 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი). ამასთან, მ. ხელთუფლიშვილი ხაზგასმით გამოხატავს, რომ ქართველებს სურდათ დამოუკიდებლობის შენარჩუნება რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნის მერეც.

ორივე ავტორი დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით განიხილავს რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ქართლ-კახეთის შემდგომი ბედზე მსჯელობის საკითხს და მიუთითებს, რომ აქ მიღებული გადაწყვეტილება დაედო საფუძვლად ალექსანდრე პირველის მანიფესტს, რომელიც 1801 წლის 12 სექტემბრითაა დათარიღებული.

ზ. ავალიშვილის წიგნს უფრო მეტად აზის ეპოქის დალი ვიდრე მ. ხელთუფლიშვილისას. გარკვეული შეზღუდულობისაგან თავისუფალი არც მ. ხელთუფლიშვილის ნაშრომია, მაგრამ მასში უფრო მეტად ჩანს რუსეთის იმპერიის აგრესიული ბუნება და საქართველოსთან მიმართებაში მხოლოდ საკუთარი ინტერესებით მოქმედების მისწრაფება.

დასკვნა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში შესწავლილია ორი ქართველი მკვლევრის - ზურაბ ავალიშვილისა და მიხეილ ხელთუფლიშვილის წიგნები: „Присоединение Грузии к России“ და „Вступление Грузии в состав Россииской империи“. ორივე ავტორის კვლევის უმთავრესი საგანი იყო XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს მიერთების საკითი და მისი შეფასება იყო.

სამაგისტრო ნაშრომში მოცემულია ცდა, თანამედროვე გადასახედიდან წავიკითხოთ და შევაფასოთ მათი თვალსაზრისი შესაწავლი საკითხის ირგვლივ.

ზურაბ ავალიშვილმა თავის დროისათვის ახალ, გამოუქვეყნებელ საარქივო მასალებსა და სხვა პირველწყაროებზე დაყრდნობით, საფუძვლიანად გამოიკვლია 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების ისტორია, მისი გამომწვევი მიზეზები, პერიპეტეები და შედეგები. მანვე საკითხი იურიდიულ ჭრილშიც შეაფასა და გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები, რომელთა ერთი ნაწილი გაზიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამასთან, სათქმელია ისიც, რომ ზურაბ ავალიშვილის შემდგომმა დიპლომატიურმა მოღვაწეობამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში (1918-1921), რამდენადმე დაჩრდილა მისი პირველი საისტორიო გამოკვლევა.

თანამედროვე გადასახედიდან, როდესაც უკვე საფუძვლიანადაა შესწავლილი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის ცალკეული მონაკვეთები, ფართო წყაროთმცოდნეობით საფუძველზე შექმნილია ათეულობით მონოგრაფია, დაცულია სადოქტორო დისერტაციები და სხვ. მიხეილ ხელთუფლიშვილის წიგნი შეიძლება უმნიშვნელო ტექსტად მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ასე არ არის. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, როდის დაიწერა ეს ნაშრომი, რა დონეზე იყო XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის კვლევა, ამ ისტორიის ამსახველი რალიტერატურა იყო გამოცემული და სხვ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის გაბმული ისტორია არ არსებობდა, თუ არ ჩავთვლით რუსი ისტორიკოსების პეტრე ბუტკოვის მონოგრაფიას⁶⁶ და ადოლფ ბერჟეს სტატია⁶⁷ (ნ.

⁶⁶ П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1893 год: в 3-х частях. СПб., 1869.

⁶⁷ А. Берже, Присоединение Грузии к России, (1799-1831): Историческое исследование, журн. Русская старина. 1880, т. 28.

დუბროვინის წიგნი „Георгий XII-последний царь Грузии. Спб., 1897“ ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული), მიხეილ ხელთუფლიშვილის წიგნს ფასი ედება.

მიხეილ ხელთუფლიშვილი ერთ-ერთი პირველი ქართველი ავტორია, ვინც საქართველოსა და რუსეთის ურთერთობის ისტორია დინამიკაში განიხილა და მიუკერძოებლად წარმოაჩინა. შემთხვევითი არ იყო, რომ მის წიგნს იმოწმებდნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ისეთი მკვლევრები, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი⁶⁸, გრიგოლ ვეშაპელი⁶⁹ და სხვ.

მ. ხელთუფლიშვილის სახელი საქართველოს ახალ ისტორიაში იმითაც დარჩა, რომ სტუდენტობის წლებში იგი აქტიურად იყო ჩართული სამშობლოს ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში, როგორც „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წევრი.

⁶⁸ ივანე ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, თბ., 1919.

⁶⁹ Г. Вешапели Единство Грузии и русский протекторат: русско-грузинский трактат 1783 года и союзный договор Карталино-Кахетии, Имеретии, Мингрелии и Гурии. М., 1917.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ავალიშვილი ზურაბ, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი, 1925.
2. ბენდიანიშვილი ალექსანდრე, ეროვნული საკითხი საქართველოში. 1801-1921, თბ., 1980.
3. გურული ვახტანგ, პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან (მეცხრამეტე საუკუნის დასასრული და მეოცე საუკუნის დამდეგი), ჟურნ. „განთიადი“, 1993, N 9-10.
4. ზურაბიშვილი ივანე, კარგ ქართველთა ხსოვნას, ჟურნ. განთიადი, ქუთაისი, 1988, № 3.
5. ლასხიშვილი გიორგი, მემუარები, თბ., 1934.
6. მასალები სპირიდონ კედიას პირადი არქივიდან. შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007.
7. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018.
8. საქართველოს ისტორია, ტ. III, თბილისი, 2012.
9. ურუშაძე ლევან, გიორგი დეკანოზიშვილის პოლიტიკური ბიოგრაფიისათვის („საქართველოს თავისუფლების ლიგა“ და „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.“ 1890-1906 წწ.), ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2007, N 13.
10. ყორანაშვილი გურამ. „უცნობი“ ზურაბ ავალოვი. ჟურნალი „ისტორიანი“, N 78.
11. შარაძე გურამ, უცხოეთის ცის ქვეშ, წგნ. 1, თბ., 1991.
12. შველიძე დიმიტრი, გაფრინდაშვილი გიორგი, გიორგი დეკანოზიშვილი. მამულიშვილის დაბრუნება, თბ., 2010.
13. შველიძე ზაქარია, რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“, თბილისი, 1969.
14. ჯავახიშვილი ივანე, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, თბ., 1919.
15. ჯავახიშვილი ნიკო. ზურაბ ავალიშვილი. ნაწილი I. მშობლები, წინაპრები და ნათესავები. ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014, №7.

- 16.ჯავახიშვილი ნიკო. ზურაბ ავალიშვილი. მოწაფეობის, პეტერბურგსა და ემიგრაციაში მოღვაწეობის ეპიზოდები. ნაწილი II, ჟურნალი ისტორიანი. თბილისი, 2014. №9.
- 17.ჯანელიძე ოთარ, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.
- 18.ჯანელიძე ოთარ, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 2013.
- 19.ჯორბენაძე სერგო, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1981.
- 20.ჯორჯაძე არჩილ, ბიბლიოგრაფია („Присоединение Грузии к России.“ З. Авалова. Петербург. 1901 г.), გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ., 19 სექტემბერი.
- 21.გაზ. „ივერია“, 1895 წ., 25 აპრილი.
- 22.გაზ. „კვალი“, 1895, № 20, 7 მაისი.
- 23.გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 21 მარტი.
- 24.ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1948, 23 დეკემბერი.
- 25.Авалов З.Д. Присоединение Грузии к России. СПб., 1901.
- 26.Авалов З.Д. Присоединение Грузии к России. 2-е изд. СПб., тип. Монтвида, 1906.
- 27.Авалов З.Д. Присоединение Грузии к России. М., Вече, 2011.
- 28.Авалов З.Д. Присоединение Грузии к России. М., Издательство Вече, 2017.
- 29.Авалов З.Д. Присоединение Грузии к России. М., Издательство Вече, 2017. Военно-историческая библиотека.
- 30.Берже А., Присоединение Грузии к России, (1799-1831): Историческое исследование, журн. Русская старина. 1880, т. 28.
- 31.Бутков П., Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1893 год: в 3-х частях. СПб., 1869.
- 32.Дубровин Н., Георгий XII-последний царь Грузии. Спб., 1897.
- 33.Вешапели Г., Единство Грузии и русский протекторат: русско-грузинский трактат 1783 года и союзный договор Карталино-Кахетии, Имеретии, Мингрелии и Гурии. М., 1917.
- 34.Хелтуплишвили М. В. Вступление Грузии в состав Российской империи. Кутаиси, 1901.

ელექტრონურსები

<https://www.litinstitut.ge/emigrant/avalishvili.html>

http://liberalizmisepoqa.blogspot.com/2014/10/blog-post_56.html

http://defencegeorgia.blogspot.com/2011/06/blog-post_03.html